585
1991

ISSN 0203—2023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1991

№ 4

94

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

უწყებები

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

19957

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები

№ 4 (609) აპრილი 1991 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

261. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ყრილობისადმი მიმართვის შესახებ

262. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო კონტროლის დეპარტამენტის შექმნის შესახებ

263. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება მოლდოვას საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის ხელშეკრულების დადების შესახებ

264. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკაში თანამდებობის პირთა მიერ მოქალაქეთა მიღების ერთიანი დღის დაწესების შესახებ

265. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) სასამართლოების მსაჯულთა უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ

266. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება აბაშის, აძბროლაურის, ადიგენის, ვანის, თეთრი წყაროს, თიანეთის, მესტიის, ონის, ცაგერის, ხობის და წალენჯიხის რაიონების სასამართლოების მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ

267. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ი. ო. ანდრიაძის ქ. თბილისის პრეფექტად დანიშვნის შესახებ.

268. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება რესპუბლიკაში ჟურნალ-გაზეთების რეგისტრაციის წესის შესახებ

საქართველოს
ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

269. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

270. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის კ. ა. ფირცხალავას შესახებ.

271. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის თ. ბეჟაშვილის შესახებ რესპუბლიკის გენერალური პროკურორის წარდგინების თაობაზე

272. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ა. ლ. ცქიტიშვილის საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის პირველი ბრიგადის მეთაურად დროებით დანიშვნის შესახებ

273. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება გ. ა. პაპავაძის საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე დროებით დანიშვნის შესახებ

274. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ქ. ცხინვალის ტერიტორიაზე საგანგებო წესების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ

275. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება საყოველთაო ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის შესახებ

276. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ო. გ. მამესწარაშვილისა და ზ. ა. რამიშვილის ქარელის რაიონის სასამართლოს მოსამართლეებად დანიშვნის შესახებ

277. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება მ. მ. ომანიძის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ

278. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ო. ვ. ქვილითაიას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

279. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება რესპუბლიკაში პირველადი მოთხოვნილების საქონლის ფასების მოწესრიგების შესახებ

280. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის რაიონების და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების საკრებულოების წევრთა რაოდენობის შესახებ

281. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს აპარატის სტრუქტურისა და საშტატო ერთეულთა რაოდენობის შესახებ

282. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ზ. ვ. მინდელის საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

283. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ჰ. დ. ვალიევის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

284. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ლ. ბ. გირგვლიანის დმანისის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

285. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო ნაწილის საბრძოლო დროშის შესახებ

286. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს ბრიგადისათვის საბრძოლო დროშის გადაცემის შესახებ

287. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოსათვის საბრძოლო დროშის გადაცემის შესახებ

288. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ვ. ა. ბერუაშვილის დმანისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

289. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ვ. მ. ალელიშვილის ახალქალაქის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

290. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება გ. ა. მაცუკატოვის ახალქალაქის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

(9 აპრილის საგანგებო სხდომა)

291. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი 26,27

292. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოქმედების შესახებ

293. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების შესახებ.

(14 აპრილის საგანგებო სხდომა)

294. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის დაწესებისა და ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

295. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდიას საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევის შესახებ.

296. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.

297. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ჩატარების თარიღის შესახებ.

(18 აპრილის სხდომა)

298. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება გ. გ. ფაცაციას საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში სადეპუტატო უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

299. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ა. თ. ასათიანის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევის შესახებ.

300. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ.

301. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „პრეფექტურის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე.

302. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონისათვის სახელის გადარქმევის შესახებ.

303. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს მიერ განხორციელებული ქ. გაგრისადმი ადმინისტრაციულად დაქვემდებარებული ბზიფის სასოფლო საბჭოს სადაბო საბჭოდ გარდაქმნის დამტკიცების შესახებ.

304. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება თეთრი წყაროს რაიონის შეხვეტილას სასოფლო საბჭოს სოფელ პოლიანასათვის სახელის გადარქმევის შესახებ.

305. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და სახელმწიფო რეზერვების სამინისტროსათვის სახელის გადარქმევის შესახებ.

306. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის სამინისტროს შექმნის თაობაზე.

307. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის შინაგან ჯარებში — ეროვნულ გვარდიაში სამხედრო სამსახურის გავლის წესის დროებით დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

(23 აპრილის სხდომა)

308. საქართველოს რესპუბლიკის კანონი პრეფექტურის შესახებ.

309. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

310. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

311. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

312. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის რიგებში სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის წესის შესახებ დროებითი დებულების" დამტკიცების თაობაზე.

313. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკაში საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ.

314. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

315. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

316. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ე. შ. ბენდელიანის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარედ არჩევის შესახებ.

317. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გ. გ. გუმბარიძის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

(27 აპრილის საგანგებო სხდომა)

318. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება უზენაესი საბჭოს წევრების მ. ძოძუაშვილისა და თ. გუგუშვილის სადეპუტატო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

319. საქართველოს რესპუბლიკის კანონი ცხინვალისა და ყორნისის რაიონების გაუქმების შესახებ.

320. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ჯავის რაიონიდან სინაგურის, კიროვისა და ჩასავლის სასოფლო საბჭოების გამოყოფის შესახებ.

321. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

322. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საცალო ფასების რეფორმასთან დაკავშირებით ბავშვებიანი ოჯახებისათვის კომპენსაციის შესახებ.

323. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ.

324. საქართველოს რესპუბლიკის კანონი მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროების დაქვემდებარებაში გადაცემისა და ამასთან დაკავშირებით ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

325. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება პ. გ. გველესიანის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ არჩევის შესახებ.

326. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ტ. ვ. ზამბახიძის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომებზე
მიღებული მიმართვები

327. მიმართვა მსოფლიოს ხალხებისადმი.

328. საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს მ. გორბაჩოვს.

329. სრულიად საქართველოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

30. სსრკ პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს, სსრკ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ა. ი. ლუკიანოვს, სსრკ უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს რ. ნ. ნიშანოვს, სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრს ბ. კ. პუგოს.

31. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს პერეს დე კუელიარს, მსოფლიოს ხალხებსა და პარლამენტებს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მიმართვები და განცხადებები

332. მიმართვა სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს.

333. სსრ კავშირის პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ა. ი. ლუკიანოვს.

334. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის განცხადება.

335. მის აღმატებულებას, სსრკ პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს.

336. სსრკ პრეზიდენტს ბატონ მ. გორბაჩოვს.

337. სსრ კავშირის პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს.

განყოფილება მესამე

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის სხდომები

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

261 რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ყრილობისადმი მიმართვის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწონებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ყრილობისადმი სამხრეთ ოსეთში არსებული მდგომარეობის შესახებ 1991 წლის 31 მარტს მათ მიერ მიღებულ დადგენილებასთან დაკავშირებით. (ერთვის დედანს).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 2 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

262 საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო კონტროლის დეპარტამენტის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო კონტროლის სამმართველოს თბილისის, ბათუმისა და ფოთის ტერიტორიული საბაჟოების ბაზაზე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო კონტროლის დეპარტამენტის (საქსახსაბაჟო) შექმნა.

2. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ათი დღის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო კონტროლის დეპარტამენტის დებულება და რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული საბაჟოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და სოციალური სფეროს განვითარების ღონისძიებათა ნუსხა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 2 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

263 მოლდოვას საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის ხელშეკრულების დადების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწონებულ იქნეს მოლდოვას საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის ხელშეკრულების პროექტი (ერთვის დედანს).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 2 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

264 საქართველოს რესპუბლიკაში თანამდებობის პირთა მიერ მოქალაქეთა მიღების ერთიანი დღის დაწესების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს საქართველოს რესპუბლიკაში თანამდებობის პირთა მიერ მოქალაქეთა მიღების ერთიანი დღე — ყოველი ორშაბათი, 15-დან 19 საათამდე.

2. ორშაბათობით, მიღების საათებში, მიზანშეუწონლად ჩაითვალოს ყველა სხვა ღონისძიების ჩატარება, უზრუნველყოფილ იქნეს ამ დღეს მოქალაქეთა მიღება.

3. რესპუბლიკურმა გაზეთებმა, საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტმა გამოაქვეყნონ ინფორმაცია ამ დადგენილების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 2 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

265 საქართველოს რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) სასამართლოების მსაჯულთა უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ ამჟამად ხორციელდება ადგილობრივი (ტერიტორიული) თვითმმართველობის ორგანოების რეორგანიზაცია, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) სასამართლოების მსაჯულთა უფლებამოსილება მთავრდება 1991 წლის 3 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) სასამართლოების მსაჯულთა უფლებმოსილების გაგრძელება 3 თვის ვადით.

2. ეს წინადადება დასამტკიცებლად წარედგინოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მორიგ სხდომას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 2 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

266 აბაშის, ამბროლაურის, ადიგენის, ვანის, თეთრი წყაროს, თიანეთის, მესტიის, ონის, ცაგერის, ხობის და წალენჯიხის რაიონების სასამართლოების მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნონ:

თამარ გერონტის ასული **გოგავა** — აბაშის რაიონის სასამართლოს მოსამართლედ.

გურამ შალვას ძე **გოცირიძე** — ამბროლაურის რაიონის სასამართლოს მოსამართლედ.

ივანე გრიგოლის ძე **ტატალაშვილი** — ადიგენის რაიონის სასამართლოს მოსამართლედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გელა გივის ძე **ლორთქიფანიძე** — ვანის რაიონის სასამართლოს მოსამართლედ.

თამაზ ილიას ძე **დარჩიაშვილი** — თეთრი წყაროს რაიონის სასამართლოს მოსამართლედ.

იოსებ გიორგის ძე **ლევერაშვილი** — თიანეთის რაიონის სასამართლოს მოსამართლედ.

მარინე რაჟდენის ასული **სუბელიანი** — მესტიის რაიონის სასამართლოს მოსამართლედ.

ნოდარ ონისიმეს ძე ჩიკვილაძე — ონის რაიონის სასამართლოს მოსამართლედ.

ლეილა ბიჭიკოს ასული **გურგუჩიანი** — ცაგერის რაიონის სასამართლოს მოსამართლედ.

ვახტანგ გიორგის ძე **კოდუა** — ხობის რაიონის სასამართლოს მოსამართლედ.

ვახტანგ ბოდღოს ძე **შონია** და თენგიზ ვასილის ძე **ფიფია** — წალენჯიხის რაიონის სასამართლოს მოსამართლეებად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 5 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

267 ი. ო. ანდრიაძის ქ. თბილისის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**
დაინიშნოს ირაკლი ონისიმეს ძე **ანდრიაძე** ქ. თბილისის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 5 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

268 რესპუბლიკაში ჟურნალ-გაზეთების რეგისტრაციის წესის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**
დაწესდეს, რომ რესპუბლიკაში ჟურნალ-გაზეთების რეგისტრაციას აწარმოსაქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტი.
უარის შემთხვევაში საჩივრებს განიხილავს სასამართლო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

ილისი, 1991 წლის 12 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

269 „მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის გრძანებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი მიზანშეწონილად მიიჩნევს შეტანილ იქნეს ცვლილება „მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის გრძანებულებაში და დაწესდეს, რომ მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციას აწარმოებენ საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროები. უარის შემთხვევაში საჩივრებს განიხილავს სასამართლო.

ეს საკითხი შეტანილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს განსახილველად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 12 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

270 **საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის კ. ა. ფი რცხალავას შესახებ**

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 27 დეკემბრის კანონის 25-ე მუხლის თანახმად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი არ შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობის გარეშე.

ზემოხსენებული კანონის დარღვევით სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ 1991 წლის 8 თებერვალს სამართალში მისცა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი კ. ა. ფირცხალავა, რომელსაც ბრალად დასდო ხელისუფლების გადამეტება მისი სსრ კავშირის პროკურატურის იმ საგამოძიებო ჯგუფში მუშაობის დროს, რომელსაც ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი ტ. ხ. გდლიანი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის, საგამოძიებო ჯგუფის ყოფილი რიგითი მუშაკის, კ. ა. ფირცხალავას სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა წარმოადგენს არა მარტო საქართველოს რესპუბლიკის კანონის დარღვევას, არამედ აშკარა უპატივცემლობას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსადმი, რომელმაც თანხმობა არ მისცა სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს ამ საქმის გამო საგამოძიებო ჯგუფის უფროსის, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის ტ. ხ. გდლიანის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მიერ კ. ა. ფირცხალავას საქმის განხილვა წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის შელახვას, რამეთუ 1922 წლის საკავშირო ხელშეკრულების თანახმად, რომელსაც ხელს აწერენ ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენლები, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს განსჯადია მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლესი თანამდებობის პირთა ბრალდების საქმეები.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კომპეტენციის ყველა შემდგომი ცვლილებას, რომელიც მიღებულია სსრ კავშირის უნიტარულ სახელმწიფოდ უკანონო ტრანსფორმაციის პირობებში საქართველოს სსრ თანხმობის გარეშე, საქართველოს რესპუბლიკისათვის ძალა არა აქვს.

კ. ა. ფირცხალავას პასუხისგებაში ნაჩქარევად მიცემა მოწმობს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ტენდენციურობას და მიკერძოებას, არ იძლევა საქმის ობიექტური, მიუკერძოებელი განხილვისა და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების გარანტიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა ამისა, კ. ა. ფირცხალავას საქმის განხილვა სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოში მოწყვეტს მას დეპუტატის მოვალეობის შესრულებისაგან, შელახავს მის ამომრჩეველთა კონსტიტუციურ უფლებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. არ მისცეს თანხმობა სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის კ. ა. ფირცხალავას საქმის განხილვაზე.

2. იშუამდგომლოს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წინაშე, რათა კ. ა. ფირცხალავას საბრალდებო საქმე განსახილველად გადაეცეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს.

3. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრმა კ. ა. ფირცხალავამ განაგრძოს დეპუტატის მოვალეობათა შესრულება და არ მიიღოს მონაწილეობა სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოში საქმის განხილვაში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმთან შეუთანხმებლად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 12 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

271 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის თ. ბეჟაშვილის შესახებ რესპუბლიკის გენერალური პროკურორის წარდგინების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, განიხილა რა საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის წარდგინება თ. ბეჟაშვილის შესახებ, რომელმაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის მაღალი წოდებისათვის შეუფერებელი საქციელი ჩაიდინა, **ადგენს:**

თ. ბეჟაშვილის საქციელი მიჩნეულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის მაღალი წოდებისათვის შეუფერებლად და შეუჩერდეს მას დეპუტატის უფლებამოსილება. ეს ეცნობოს საქართველოს რესპუბლიკის

ეროვნული ბიბლიოთეკ

უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების სიღნაღის № 56 საარჩევნო ოლქ
ამომრჩევლებს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 12 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

272 **ა. ლ. ცქიტიშვილის საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯა
რების — ეროვნული გვარდიის პირველი ბრიგადის მეთაურა
დროებით დანიშვნის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაინიშნოს დროებით ავთანდილ ლეონიდეს ძე **ცქიტიშვილი** საქართვე
ლოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის პირველი ბრი
გადის მეთაურად.

2. ნება მიეცეს ბრიგადის მეთაურს **ა. ლ. ცქიტიშვილს** მის დაქვემდებარე
ბულ ქვეგანაყოფებში საშტატო თანამდებობებზე დანიშვნისა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 12 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

273 გ. ა. პაპავაძის საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე დროებით დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაინიშნოს დროებით გიორგი არსენის ძე **პაპავაძე** საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსად.

2. ნება მიეცეს მთავარი სამმართველოს უფროსს **გ. ა. პაპავაძეს** მის დაქვემდებარებულ ქვეგანაყოფებში საშტატო თანამდებობებზე დანიშვნისა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 12 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

274 ქ. ცხინვალის ტერიტორიაზე საგანგებო წესების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ქ. ცხინვალის ტერიტორიაზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 12 დეკემბრის დადგენილებით გამოცხადებული საგანგებო წესების მოქმედების ვადა გაგრძელდეს 1991 წლის 12 მაისამდე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 12 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

275 საყოველთაო ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის შესახებ

უკანასკნელ ხანებში იმპერიის შემადგენლობაში მყოფმა ხალხებმა გააძლიერეს საპროტესტო პოლიტიკური საგაფიცვო მოძრაობა, რომელიც მიზნად ისახავს იმპერიული ცენტრალური ხელისუფლების გაუქმებას და სუვერენული, დემოკრატიული სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესისათვის ხელშეწყობას. ამასთან დაკავშირებით, აგრეთვე სამაჩაბლოში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ე. წ. ცენტრის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ მრგვალი მაგიდის პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა სატრანსპორტო საშუალებებისა და საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების გაფიცვები გამოაცხადეს.

გამომდინარე იმ მოსაზრებიდან, რომ აღნიშნულ საპროტესტო აქციებს აქვს ერთი მიზანი: საქართველოს სრული, ფაქტობრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, იმპერიული სტრუქტურებისადმი დაქვემდებარებისა და დიქტატისაგან მისი გათავისუფლება, რაც წარმოადგენს უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის პროცესის უშუალო გაგრძელებას, ვადგენ:

1. სამინისტროებმა, უწყებებმა, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ყოველნაირად შეუწყონ ხელი მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ საყოველთაო ეროვნულ და სამოქალაქო დაუმორჩილებლობას.

2. თანამდებობის პირთაგან შეიქმნას საკონსულტაციო და საკოორდინაციო საბჭოები, რომლებიც საგაფიცვო კომიტეტებთან ერთად სისტემურ ხასიათს მისცემენ დაუმორჩილებლობის მოძრაობას, რათა არ დაზარალდეს რესპუბლიკის ეკონომიკური ინტერესები.

3. შეიქმნას მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გაერთიანებული საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს ბეჭდვითი ინფორმაციის გავრცელებას და საზღვარგარეთ გადაცემას საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ.

4. შეიქმნას სპეციალური საგაფიცვო ფონდი, რომელიც უზრუნველყოფს გაფიცულთა ყოველგვარ დახმარებას და უზრუნველყოფას.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 15 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

276 **ო. გ. მამესწარაშვილისა და ზ. ა. რამიშვილის ქარელის რაიონის სასამართლოს მოსამართლეებად დანიშვნის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნონ ქარელის რაიონის სასამართლოს მოსამართლეებად ოთარ გიორგის ძე **მამესწარაშვილი** და ზაზა ანზორის ძე **რამიშვილი.**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 16 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

277 **მ. მ. ომანიძის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ**

დაინიშნოს მურმან მელიტონის ძე **ომანიძე** საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 18 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

278 ო. ვ. ქვილითაიას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ოთარ ვლადიმერის ძე **ქვილითაია** საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ და გათავისუფლდეს იგი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 18 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

279 რესპუბლიკაში პირველადი მოთხოვნილების საქონლის ფასების მოწესრიგების შესახებ

სსრ კავშირის პრეზიდენტისა და სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებებით სახალხო მოხმარების საქონლის საცალო ფასების თავსმოხვეულმა გადაღებამ საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. მდგომარეობა იმითაც მძიმდება, რომ ზოგიერთ პირველადი მოთხოვნილების საქონელზე საწარმოებისა (მწარმოებლებისა) და სავაჭრო ორგანიზაციებისათვის სახელშეკრულებო (თავისუფალი) ფასების დაწესების უფლების მიცემის შედეგად ფაქტობრივად უმართავი გახდა ფასწარმოქმნის პროცესები და არაკეთილსინდისიერ პირებს საშუალება მიეცათ საკუთარი ანგარებითი მიზნებისათვის გამოეყენებინათ შექმნილი სიტუაცია.

პირველადი მოთხოვნილების საქონელზე ფასწარმოქმნის საქმეში სათანადო წესრიგის დასამყარებლად:

1. დაწესდეს პირველადი მოთხოვნილების საქონელზე ერთიანი ფიქსირებული სახელმწიფო საცალო ფასები საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სახელმწიფო და სამომხმარებლო კოოპერაციის ყველა სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროსთან, ცეკავშირის გამგეობასთან, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებთან, საწარმოებსა და ორგანიზაციებთან ერთად უმოკლეს ვადაში დააწესოს მტკიცე სახელმწიფო საცალო ფასები პირველადი მოთხოვნილების იმ საქონელზე, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ხალხის ცხოვრების დონეს.

3. საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ, სავაჭრო ქსელის მქონე სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა უზრუნველყონ საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში საცალო ფასების (პრეისკურანტის) თვალსაჩინო ადგილზე გამოკვრა.

4. აეკრძალოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ სახელმწიფო და სამომხმარებლო კოოპერაციის ყველა სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოსა და ორგანიზაციას სახელშეკრულებო (თავისუფალი) ფასების დაწესება საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან შეუთანხმებლად.

5. გაუქმდეს გაყიდვიდან 5%-იანი გადასახადი საქართველოში წარმოებული და რესპუბლიკის ტერიტორიაზე სარეალიზაციო პირველადი მოთხოვნილების საქონელზე, ჟურნალ-გაზეთებზე, მომსახურების ზოგიერთ სახეზე, მათ შორის ტაქსზე.

6. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს დააწესოს მკაცრი კონტროლი ფასების სფეროში სახელმწიფო დისციპლინის განუხრელად დაცვაზე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 20 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

280 საქართველოს რესპუბლიკის რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების საკრებულოების წევრთა რაოდენობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს რესპუბლიკის რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების საკრებულოების წევრთა რაოდენობა განისაზღვროს ამ დადგენილების დანართის შესაბამისად (ეროვის დედანს).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 23 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

281 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს აპარატის სტრუქტურისა და საშტატო ერთეულთა რაოდენობის შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკაში საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს აპარატის შემდეგი სტრუქტურა:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს სამდივნო;

ეკონომიკური ხასიათის დავის განხილვის კოლეგიასთან არსებული კონსულტანტთა ჯგუფი;

საარბიტრაჟო სასამართლოების მიერ გამოტანილი დადგენილების (გადაწყვეტილების, განჩინების) კანონიერებაზე ზედამხედველობის კოლეგიასთან არსებული კონსულტანტთა **ჯგუფი;**

საერთო განყოფილება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონმდებლობის სრულყოფისა და სისტემატიზაციის განყოფილება;
საფინანსო-სამეურნეო განყოფილება;
არქივი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საარბიტრაჟო სასამართლოსთან მოქმედებს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო.

2. განისაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს აპარატის მუშაკთა რაოდენობა 64 საშტატო ერთეულით (არჩევითი თანამდებობის გარდა).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 23 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

გ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

282 ზ. ვ. მინდელის საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ზურაბ ვიქტორის ძე **მინდელი** საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 23 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

283 ჰ. დ. ვალიევის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ჰაჯიმურატ დიმიტრის ძე **ვალიევი** საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრის თანამდებობიდან შრომის დისციპლინის უხეში დარღვევისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 23 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

284 ლ. ბ. გირგვლიანის დმანისის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ლერი ბესარიონის ძე **გირგვლიანი** დმანისის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 24 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

285 საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო ნაწილის საბრძოლო დროშის შესახებ

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებით:

1. დაწესდეს, რომ საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო ნაწილს ჰქონდეს საბრძოლო დროშა.

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო ნაწილის საბრძოლო დროშა არის მხედრული ღირსების, ვაჟკაცობისა და დიდების სიმბოლო. იგი შეახსენებს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების თითოეულ სამხედრო მოსამსახურეს, რომ მისი წმიდათაწმიდა ვალია ერთგულად ემსახუროს მშობელ ერსა და ქვეყანას, მამაცურად და გაბედულად იცავდეს მას, არ დაუთმოს მტერს მშობლიური მიწის არც ერთი გოჯი და სიცოცხლეც კი არ დაიშუროს სამშობლოსათვის.

2. საბრძოლო დროშას სამხედრო ნაწილს მისი ფორმირების დროს გადასცემს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ან მისი სახელით საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მთავრობის კომისიის თავმჯდომარე.

3. საბრძოლო დროშა ინახება სამხედრო ნაწილში მისი სახელწოდებისა და ნუმერაციის შეცვლის მიუხედავად. სამხედრო ნაწილის შეცვლილი სახელწოდება და ნუმერაცია შეაქვთ სიგელში, რომელიც გაიცემა საბრძოლო დროშის ჩაბარებისას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. საბრძოლო დროშა ყოველთვის სამხედრო ნაწილშია, ბრძოლის ველზე კი — ნაწილის საბრძოლო მოქმედების რაიონში.

5. ნაწილის მთელი პირადი შემადგენლობა მოვალეა თავდადებით და ვაჟკაცურად იცავდეს საბრძოლო დროშას ბრძოლაში და არ დაუშვას, რომ იგი ხელთ იგდოს მოწინააღმდეგემ.

საბრძოლო დროშის დაკარგვის შემთხვევაში ნაწილის მეთაური და ამისათვის უშუალოდ პასუხისმგებელი სამხედრო მოსამსახურენი უნდა გაასამართლოს სამხედრო ტრიბუნალმა, ხოლო სამხედრო ნაწილი — დაიშალოს.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 24 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

286 საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს ბრიგადისათვის საბრძოლო დროშის გადაცემის შესახებ

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებით:

გადაეცეს საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს ბრიგადას საბრძოლო დროშა. მოვუწოდებ ვაუფრთხილდეს მის სახელსა და დიდებას, ვაჟკაცურად დაიცვას ბრძოლაში და არ დაუშვას, რომ იგი ხელთ იგდოს მოწინააღმდეგემ.

თითოეული სამხედრო მოსამსახურის წმიდათაწმიდა ვალია ფხიზლად იცავდეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას, არ დაუთმოს მტერს მშობლიური მიწის არც ერთი გოჯი და სიცოცხლეც კი არ დაიშუროს სამშობლოსათვის.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 24 აპრილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

287 **საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოსათვის საბრძოლო დროშის გადაცემის შესახებ**

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებით:

გადაეცეს საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების—ეროვნული გვარდიის მთავარ სამმართველოს საბრძოლო დროშა „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდია“ და დაევალოს მტკიცედ დაიცვას სამშობლოს ინტერესები, მისი ტერიტორიული მთლიანობა, განახორციელოს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული საგანგებო წესები, ხელი შეუწყოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში.

თითოეული სამხედრო მოსამსახურის წმიდათაწმიდა ვალია ერთგულად ემსახუროს მშობელ ერსა და ქვეყანას, მამაცურად და გაბედულად იცავდეს მას, არ დაუთმოს მტერს მშობლიური მიწის არც ერთი გოჯი და სიცოცხლეც კი არ დაიშუროს სამშობლოსათვის.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 24 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

288 **ვ. ა. ბერუაშვილის დმანისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ**

გათავისუფლდეს ვლადიმერ აბელის ძე **ბერუაშვილი** დმანისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 24 აპრილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

289 **ვ. მ. ალელიშვილის ახალქალაქის პრეფექტად დანიშვნის შესახებ**

დაინიშნოს ვლადიმერ მარკოზის ძე **ალელიშვილი** ახალქალაქის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 26 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

290 **გ. ა. მაცუკატოვის ახალქალაქის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ**

გათავისუფლდეს გიორგი ანტონის ძე **მაცუკატოვი** ახალქალაქის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 26 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

(9 აპრილის საგანგებო სხდომა)

291 საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, ქართველმა ერმა მე-19 საუკუნეში დაკარგა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმების შედეგად. ქართველი ხალხი არასოდეს შეჰგუებია თავისუფლების დაკარგვას. 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღდგა საქართველოს გაუქმებული სახელმწიფოებრიობა. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მრავალპარტიულობის საფუძველზე არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებითა და კონსტიტუციით.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა თავის მიერვე ცნობილი საქართველოს სახელმწიფოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია.

საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნებაყოფლობით არ შესულა, ხოლო მისი სახელმწიფოებრიობა დღესაც არსებობს, დამოუკიდებლობის აქტი და კონსტიტუცია დღესაც იურიდიული ძალის მქონეა, ვინაიდან დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია და განაგრძობდა მოღვაწეობას ემიგრაციაში.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით, რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ფარული ომი საქართველოს წინააღმდეგ დღესაც გრძელდება. მისი მიზანია დააბრკოლოს საქართველოს სწრაფვა თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ.

1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, **ადგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე.**

საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანია და განუყოფელი. მის ტერიტორიაზე უზენაესია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და ხელისუფლება. ყოველი მოქმედება, მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ჩაითვლება სუვერენული სახელმწიფოს საში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაო საქმეებში ჩარევად და აგრესიად, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად.

საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად.

საქართველოს რესპუბლიკა, ისწრაფვის რა დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა ძირითად უფლებასა და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტები და კონვენციები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ მტკიცედ დაიცავს სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა სრულად შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, ჰელსინკისა და ვენის აქტებს, რომლებიც აღიარებენ და განამტკიცებენ ყველა ხალხის უფლებას დამოუკიდებლად განაგოს თავისი ქვეყნის პოლიტიკური ბედი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იმედოვნებს, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა არ დარჩება გულგრილი ქართველი ხალხის კანონიერი და სამართლიანი ნებისადმი და აღიარებს საქართველოს აღორძინებულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რაც საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე გარანტია იქნება.

ხელმოწერილია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და მთავრობის წევრების მიერ

თბილისი, 1991 წლის 9 აპრილი.
12 საათი და 30 წუთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

292 საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოქმედების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის მიღებამდე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს „საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 14 ნოემბრის კანონი.

2. დაევალოს საკონსტიტუციო კომისიას დააჩქაროს საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის შემუშავება 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის დებულებათა საფუძველზე.

3. საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობა შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი 1991 წლის 9 აპრილს დამტკიცებულ „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტთან“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 9 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

293 საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო წყობილების სრულყოფის, ქვეყნის სუვერენიტეტის, მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლებებისა და უშიშროების განმტკიცების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის შემოღება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიამ შეიმუშაოს და წარმოადგინოს წინადადებანი შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 9 აპრილი.

(14 აპრილის საგანგებო სხდომა)

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

294 საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის დაწესებისა და ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო წყობილების სრულყოფის, ქვეყნის სუვერენიტეტის, მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლებებისა და უშიშროების განმტკიცების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

I. დაწესდეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობა.

II. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის დაწესებასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კონსტიტუციის 92-ე მუხლის მეოთხე ნაწილში სიტყვების „ის პირნი“, წინ დაემატოს სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი“.

2. 104-ე მუხლში:

ა) მე-19 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „და შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის მთავარსარდალს“.

ბ) 22-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

22) „თანხმობას აძლევს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ჩამოყალიბების, მის შემადგენლობაში ცვლილებების, მთავრობის თავმჯდომარისა და მთავრობის წევრების თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“.

3. კონსტიტუციას დაემატოს შენდეგი შინაარსის 107[1] მუხლი:

„მუხლი 107[1]. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილების ცნობის შესახებ, არჩევნების კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში კი—პრეზიდენტის არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ".

4. 108-ე მუხლის მე-2 ნაწილში სიტყვებს „უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის" დაემატოს სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის".

5. 110-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვებს „საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტს" დაემატოს სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს".

6. 113-ე მუხლებიდან ამოღებულ იქნეს მე-7, მე-9, მე-10, მე-11, მე-12, მე-13, მე-15, მე-16, მე-17, მე-18, მე-19 პუნქტები, ხოლო 113-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „გამოსცემს ბრძანებულებებსა და" „ბრძანებულება და".

7. 114-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს პირველი ნაწილი.

8. 115-ე მუხლში:

ა) პირველი პუნქტის მე-2 წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ხელს აწერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის აქტებს, გარდა კანონებისა".

ბ) მე-3, მე-4, მე-5 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

9. 118-ე მუხლის პირველ ნაწილში:

ა) სიტყვებს „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა" წინ დაემატოს სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის";

ბ) ამოღებულ იქნეს სიტყვები „საკავშირო დაქვემდებარების".

10. 119-ე მუხლში:

ა) მე-6 ნაწილის სიტყვებს „ან საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაში" დაემატოს სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის წინაშე".

ბ) მე-7 ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირის კანონი სსრ კავშირში კონსტიტუციური ზედამხედველობის შესახებ და".

11. კონსტიტუციას დაემატოს შემდეგი შინაარსის 13[1] თავი:

„„თავი 13[1]. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

მუხლი 121[1]. საქართველოს სახელმწიფოს — საქართველოს რესპუბლიკის მეთაურია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

მუხლი 121[2]. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს დაბადებით საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, ოცდათხუთმეტიდან სამოცდაათ წლამდე ასაკისა, რომელსაც საქართველოში მუდმივად უცხოვრია არანაკლებ უკანასკნელი ხუთი წლისა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ხუთი წლის ვადით ირჩევენ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატების რიცხვი შეზღუდული არ არის. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები ნამდვილად ითვლება, თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასში მონაწილეობდა ამომრჩეველთა რაოდენობის ნახევარზე მეტი. არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს მთლიანად საქართველოს რესპუბლიკაში ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტს.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კანონი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი არ შეიძლება იყოს დეპუტატი.

პირს, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტია, ხელფასის მიღება შეუძლია მხოლოდ ამ თანამდებობაზე.

მუხლი 121³. თანამდებობის დაკავების დროს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი დებს ფიცს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომაზე.

მუხლი 121⁴. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი:

1) არის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლებების, საქართველოს რესპუბლიკის კონტიტუციისა და კანონების დაცვის გარანტი;

2) იღებს საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის, ქვეყნის უშიშროებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობილების პრინციპების რეალიზაციის საჭირო ზომებს;

3) წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკას ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ურთიერთობაში;

4) მეთაურობს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სისტემას და უზრუნველყოფს მათ ურთიერთმოქმედებას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებთან;

5) საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს წარუდგენს ყოველწლიურ პოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის შესახებ; საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს აწვდის ინფორმაციას საქართველოს რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხებზე;

6) უზენაეს საბჭოსთან შეთანხმებით აყალიბებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და შეაქვს მის შემადგენლობაში ცვლილებები; უზენაეს საბჭოს წარუდგენს კანდიდატურას მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაზე დასანიშნად; უზენაეს საბჭოსთან შეთანხმებით ათავისუფლებს თანამდებობიდან მთავრობის თავმჯდომარესა და მთავრობის წევრებს;

7) წარუდგენს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს კანდიდატურებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს რესპუბლიკის ვენერალური პროკურორის, საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო არბიტრის პოსტზე; უზენაეს საბჭოში შეაქვს წარდგინებები საქართველოს რესპუბლიკის თანამდებობის პირთა მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

8) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წინაშე სვამს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ან მთავრობის ცალკეულ წევრთა გადადგომის ან გადადგომის მიღების საკითხს;

9) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით ნიშნავს და ათავისუფლებს პრეფექტს;

10) ხელს აწერს საქართველოს რესპუბლიკის კანონებს; უფლება აქვს არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა დაუბრუნოს კანონი თავისი საწინააღმდეგო მოსაზრებებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს ან ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს ხელახალი განხილვისა და კენჭისყრისათვის. თუ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ხმების ორი მესამედის უმრავლესობით დაადასტურებს თავის მიერ წინათ მიღებულ გადაწყვეტილებას, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ხელს აწერს კანონს ან გადასცემს მას სარეფერენდუმოდ;

11) იღებს გადაწყვეტილებას საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის (რეფერენდუმის) მოწყობის შესახებ;

12) აქვს უფლება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესთან და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან კონსულტაციების შემდეგ დაითხოვოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. უზენაესი საბჭოს ახალი არჩევნები უნდა გაიმართოს დათხოვნიდან არა უგვიანეს ორი თვისა;

13) აქვს უფლება გააუქმოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებები და განკარგულებები, სამინისტროებისა და სხვა საქვეუწყებო ორგანოთა აქტები, პრეფექტების განკარგულებები და ბრძანებები; შეაჩეროს ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებები და განკარგულებები, ავრეთვე დააყენოს საკითხი უზენაესი საბჭოს წინაშე ავტონომიური რესპუბლიკის კანონისა და უზენაესი საბჭოს დადგენილების შეჩერების შესახებ, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას და კანონებს;

14) კოორდინაციას უწევს სახელმწიფო ორგანოების საქმიანობას ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფისათვის; არის საქართველოს რესპუბლიკის საჯარისო ფორმირებების უმაღლესი მთავარსარდალი;

15) ყოველწლიურად განიხილავს სამხედრო სამსახურში გასაწვევ პირთა რიცხვს;

16) ანიჭებს სამხედრო წოდებებს;

17) ნიშნავს თანამდებობებზე სარდლებსა და გენერლებს;

18) აწარმოებს მოლაპარაკებას და ხელს აწერს საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებს; იღებს მასთან აკრედიტებულ უცხოეთის სახელმწიფოების დიპლომატიურ წარმომადგენელთა რწმუნებულებისა და გაწვევის სიგელებს; ნიშნავს და გამოიწვევს საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლებს უცხოეთის სახელმწიფოებში და საერთაშორისო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზაციებში; ანიჭებს უმაღლეს დიპლომატიურ რანგებსა და სხვა სპეციალურ წოდებებს;

19) აჯილდოებს საქართველოს რესპუბლიკის ორდენებითა და მედლებით, ანიჭებს საქართველოს რესპუბლიკის საპატიო წოდებებს;

20) წყვეტს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ მიღების, მოქალაქეობიდან გასვლის და მოქალაქეობის ჩამორთმევის, თავშესაფრის მიცემის საკითხებს; ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ პირთა შეწყალებას;

21) აცხადებს საერთო ან ნაწილობრივ მობილიზაციას; აცხადებს ომის მდგომარეობას საქართველოს რესპუბლიკაზე სამხედრო თავდასხმის შემთხვევაში და დაუყოვნებლივ შეაქვს ეს საკითხი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს განსახილველად; საქართველოს რესპუბლიკის დაცვისა და მის მოქალაქეთა უშიშროების ინტერესებისათვის აცხადებს სამხედრო მდგომარეობას ცალკეულ ადგილებში და დაუყოვნებლივ შეაქვს ეს საკითხი საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში განსახილველად; სამხედრო მდგომარეობის შემოღების წესსა და მის რეჟიმს განსაზღვრავს კანონი;

22) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის იძლევა გაფრთხილებას საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ან ცალკეულ ადგილებში საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში კი აცხადებს კიდეც მათს შემოღებას. ამასთან, მიღებული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ შეაქვს უზენაეს საბჭოში დასამტკიცებლად.

ამ პუნქტის პირველ ნაწილში აღნიშნულ შემთხვევებში შეუძლია შემოიღოს დროებითი საპრეზიდენტო მმართველობა. საგანგებო წესების, აგრეთვე საპრეზიდენტო მმართველობის რეჟიმი დგინდება კანონით.

მუხლი 121[5]. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტთან მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის საპრეზიდენტო საბჭო, რომლის ამოცანაა საქართველოს რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების რეალიზაციის, ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შეჰუშავება.

საქართველოს რესპუბლიკის საპრეზიდენტო საბჭოს წევრებს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე შედის საქართველოს რესპუბლიკის საპრეზიდენტო საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით.

მუხლი 121[6]. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და საქართველოს რესპუბლიკის კანონების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებულებებსა და განკარგულებებს, რომლებსაც სავალდებულო ძალა აქვთ ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 121[7]. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს აქვს ხელშეუხებლობის უფლება. იგი შეიძლება გადააყენოს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მის მიერ სამშობლოს ღალატის ჩადენის შემთხვევაში. ასეთ გადაწყვეტილებას იღებს უზენაესი საბჭო წევრთა საერთო რიცხვის ხმების სულ ცოტა სამი მეოთხედით საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად.

მუხლი 121[8]. თუ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ამა თუ იმ მიზეზის გამო აღარ შეუძლია თავისი მოვალეობების შესრულება, ახალი პრეზიდენტის არჩევნებამდე მისი უფლებამოსილებანი ეკისრება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, — საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს. ასეთ შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტის არჩევნები უნდა გაიმართოს სამი თვის ვადაში".

12. 122-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა საქართველოს რესპუბლიკის აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოა და ექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს".

13. 123-ე მუხლში:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა შედგება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, მისი მოადგილეებისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრებისაგან. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის წინადადებით".

ბ) მე-3 ნაწილში სიტყვები „მთავრობის თავმჯდომარის" შეიცვალოს სიტყვით „პრეზიდენტის".

გ) მე-4 ნაწილი ამოღებულ იქნეს.

14. 124-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა პასუხისმგებელია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის წინაშე".

15. 125-ე მუხლში:

ა) პირველ ნაწილში სიტყვას „თავმჯდომარის" დაემატოს სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის";

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„4) იღებს ზომებს სახელმწიფო უშიშროების უზრუნველსაყოფად და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად";

გ) მე-5 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „იმ წესის მიხედვით, რომელიც დადგენილია სსრ კავშირის მიერ".

16. 126-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

17. 127-ე მუხლის პირველი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა საქართველოს რესპუბლიკის კანონების, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხვა გადაწყვეტილებათა, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებათა საფუძველზე და მათს შესასრულებლად გამოსცემს დადგენილებებსა და განკარგულებებს და ამოწმებს მათს შესრულებას“.

18. 129-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირის კანონების, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხვა გადაწყვეტილებების“, ხოლო სიტყვები „სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტისა და“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებების“.

19. 146-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„პრეფექტი ანგარიშვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წინაშე, ხოლო გამგეობა და გამგებელი — შესაბამისი საკრებულოს და პრეფექტის წინაშე“.

III. დაწესდეს, რომ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 121[2] მუხლით დადგენილი წესით საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევამდე საქართველოს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტს ირჩევს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

ამ არჩევნებში არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრთა საერთო რიცხვის ხმების ნახევარზე მეტს. თუ კენჭისყრის დროს ვერც ერთი კანდიდატი ვერ მოაგროვებს ხმების ნახევარზე მეტს, იმართება კენჭისყრა იმ ორი კანდიდატურის მიხედვით, რომლებმაც ყველაზე მეტი ხმა მოაგროვეს. ამ შემთხვევაში არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მოაგროვებს.

IV. ეს კანონი ძალაში შედის მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 14 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

295 ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდიას საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს ზვიად კონსტანტინეს ძე **გამსახურდია** საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 14 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

296 საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი წაკითხვით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 14 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

297 საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ჩატარების თარიღის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 1991 წლის 26 მაისს.

დაევალოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ჩატარება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 14 აპრილი.

(18 აპრილის სხდომა)

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

298 საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში გ. გ. ფაცაციას სადეპუტატო უფლებამოსილების ცნობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 18 აგვისტოს კანონის 61-ე მუხლის შესაბამისად ცნობილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში გერმანე გერმანეს ძე **ფაცაციას** სადეპუტატო უფლებამოსილება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 18 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

299 ა. თ. ასათიანის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს აკაკი თორნიკეს ძე **ასათიანი** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ და გათავისუფლდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. გურჭულაძე.

თბილისი, 1991 წლის 18 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

300 საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ

კარი I.

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. არჩევნების საფუძველი

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ირჩევენ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ირჩევენ 5 წლის ვადით.

მუხლი 2. საყოველთაო საარჩევნო უფლება

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები საყოველთაოა: არჩევის უფლება აქვს საქართველოში მუდმივად მცხოვრებ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების დღისათვის 16 წელი შეუსრულდა.

ის პირნი, რომლებიც მსახურობენ ისეთ სამხედრო ან გასამხედროებულ შენაერთებში, რომლებიც არ ექვემდებარებიან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების იურისდიქციას, არ მონაწილეობენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებში.

არჩევნებში არ მონაწილეობენ ფსიქიკურად დაავადებული მოქალაქენი, რომლებიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო, აგრეთვე ის პირნი, რომლებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლოს განაჩენით თავისუფლების აღკვეთის ადგილას იმყოფებიან.

მუხლი 3. თანასწორი საარჩევნო უფლება

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები თანასწორია: ყოველ ამომრჩეველს ერთი ხმა აქვს. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები პრეზიდენტის არჩევნებში თანასწორ საფუძველზე მონაწილეობენ.

მუხლი 4. პირდაპირი საარჩევნო უფლება

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები პირდაპირია: პრეზიდენტს ამომრჩევლები უშუალოდ ირჩევენ.

მუხლი 5. ფარული კენჭისყრა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები ფარული კენჭისყრით ტარდება; კონტროლი ამომრჩეველთა ნების გამოვლინებისადმი დაუშვებელია.

მუხლი 6. არჩევნების თარიღი

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდება ხუთ წელიწადში ერთხელ, 26 მაისს.

მუხლი 7. პრეზიდენტის არჩევნების ჩატარება საარჩევნო კომისიების მიერ

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია და მისი ქვემდგომი საარჩევნო კომისიები.

მუხლი 8. მოქალაქეების, პოლიტიკური პარტიების, მათი გაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მონაწილეობა პრეზიდენტის არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, პოლიტიკურ პარტიებს, მათ გაერთიანებებს, საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში ამ კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 9. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატთა წარდგენის უფლება

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ საქართველოს რესპუბლიკის რეგისტრირებულ პოლიტიკურ პარტიებსა (პოლიტიკურ ორგანიზაციებს, მოძრაობებს, კავშირებს და ა. შ., ტექსტში შემდგომ—„პარტიებს“) და საარჩევნო ბლოკებს, რომელთა მოქმედება ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, აგრეთვე ამომრჩეველთა ჯგუფებს განცხადების წარდგენის გზით.

მუხლი 10. არჩევნებთან დაკავშირებული სახელმწიფო ხარჯები

პრეზიდენტის არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს. ხარჯების სავარაუდო ოდენობას ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარდგენით განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი. არჩევნების დამთავრების შემდეგ, 3 თვის ვადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, ხარჯების ფაქტობრივ ოდენობას ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯების განაწილების, გამოყენებისა და ანგარიშის გამოქვეყნების წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისია.

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები საარჩევნო კომისიებს უფასო სარგებლობისათვის გადასცემენ არჩევნების მოსამზადებლად და ჩასატარებლად საჭირო შენობებს და მოწყობილობას.

მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო ორგანოები უფასოდ აქვეყნებენ საარჩევნო კომისიების მიერ წარდგენილ მასალებს, პრეზიდენტობის კანდიდატების წიხასაარჩევნო პროგრამებსა და სხვა მასალებს კანონით დადგენილ ფარგლებში.

მუხლი 11. პრეზიდენტობის კანდიდატების საარჩევნო ფონდები

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატებს შეუძლიათ შექმნან საარჩევნო ფონდები, რისთვისაც მათ უფლება აქვთ გამოიყენონ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა, პოლიტიკურ პარტიათა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოძრაობათა, შრომით კოლექტივთა შეწირულობანი.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციის შემდეგ საარჩევნო ფონდისათვის განკუთვნილი თანხა ჩაირიცხება კანდიდატის საარჩევნო ფონდის საბანკო ანგარიშზე, რომელიც იხსნება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი წესით.

პრეზიდენტობის კანდიდატის საარჩევნო ფონდიდან დასახარჯი თანხის ზღვრულ ოდენობას არჩევნებამდე არა უგვიანეს 30 დღისა ადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

არჩევნების დამთავრების შემდეგ პრეზიდენტობის კანდიდატის საარჩევნო ფონდის ნაშთი ჩაირიცხება საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტში.

მუხლი 12. საჯაროობა არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დროს

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების მომზადებასა და ჩატარებას საარჩევნო კომისიები ღიად და საჯაროდ ახორციელებენ.

საარჩევნო კომისიების სხდომებზე და ხმის მისაცემ შენობებში დასწრების უფლება აქვთ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული პარტიების წარმომადგენლებს, პრეზიდენტობის კანდიდატების თითო ნდობით აღჭურვილ პირს, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლებს, ხოლო არჩევნების დღეს ხმის მისაცემ შენობებში საარჩევნო ყუთების დალუქვიდან არჩევნების შედეგების შეჯამების დამთავრებამდე — პრეზიდენტობის კანდიდატების თითო წარმომადგენელსაც.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აშუქებენ პრეზიდენტის არჩევნების მომზადებისა და ჩატარების მიმდინარეობას. მათთვის გარანტირებულია შეუფერხებელი დასწრება არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა კრებასა და სხდომაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 13. პასუხისმგებლობა არჩევნების შესახებ კანონის დარღვევისათვის

იმ პირებს, რომლებიც ძალადობით, მოტყუებით, მუქარით, მოსყიდვით ან სხვა გზით ხელს უშლიან საქართველოს მოქალაქეს თავისუფლად განახორციელოს თავისი უფლება — აირჩიოს და იყოს არჩეული პრეზიდენტად, ეწეოდეს წინასაარჩევნო აგიტაციას, რომლებიც ერევიან საარჩევნო კომისიების მუშაობაში და ხელს უშლიან საარჩევნო უბნებში ხმის მიცემას, კანდიდატის რეგისტრაციასთან, ხმების დათვლასა და არჩევნების შედეგების დადგენასთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებას, აქვეყნებენ ან სხვა საშუალებით ავრცელებენ პრეზიდენტობის კანდიდატის პატივისა და ღირსების შემლახავ ცნობებს ან აგიტაციას ეწევიან არჩევნების დღეს, აგრეთვე საარჩევნო კომისიების წევრებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების თანამდებობის პირებს, რომლებმაც გააყალბეს საარჩევნო დოკუმენტები, განზრახ არასწორად დათვალეს ხმები, დაარღვიეს კენჭისყრის საიდუმლოება, საარჩევნო კომისიებს არ წარუდგინეს საჭირო მასალები და მონაცემები ან არ შეასრულეს მათი გადაწყვეტილებები, ეკისრებათ კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა.

თავი II

საარჩევნო ოლქები, საარჩევნო უბნები, საარჩევნო კომისიები, ამომრჩეველთა სიები

მუხლი 14. საარჩევნო ოლქები და საარჩევნო უბნები

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებისათვის საარჩევნო ოლქები და საარჩევნო უბნები იქმნება „რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 15. საარჩევნო კომისიები

საარჩევნო კომისიების სისტემის, მათი ორგანიზაციისა და უფლებამოსილების განსაზღვრისათვის გამოიყენება „რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი.

მუხლი 16. ამომრჩეველთა სიები

პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობისათვის ამომრჩეველთა კორპუსის დადგენას საფუძვლად დაედება საქართველოს რესპუბლიკაში ბოლო არჩევნებისას შედგენილი ამომრჩეველთა სიები. სიებში ცვლილებები და დამატებები შეიტანება „რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონით დადგენილი წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი III.

პრეზიდენტობის კანდიდატთა წარდგენა და მათი რეგისტრაცია

მუხლი 17. პრეზიდენტობის კანდიდატთა წარდგენა

პრეზიდენტობის კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ პარტიებს, საარჩევნო ბლოკებსა და ამომრჩეველთა ჯგუფებს განცხადების წარდგენის გზით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატად შეიძლება წარდგენილ იქნეს დაბადებით საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, ოცდათხუთმეტიდან სამოცდაათ წლამდე ასაკისა, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივად უცხოვრია არანაკლებ ბოლო 5 წლისა, მიუხედავად სოციალური, ქონებრივი მდგომარეობის, სქესისა და საქმიანობისა.

ყოველ პარტიას, საარჩევნო ბლოკს და ამომრჩეველთა სულ ცოტა ხუთკაციან ჯგუფს უფლება აქვს წარადგინოს პრეზიდენტობის თითო კანდიდატი. პრეზიდენტობის კანდიდატთა შერჩევის წესს განსაზღვრავენ თავად პარტიები და საარჩევნო ბლოკები.

კანდიდატის წარდგენის მიზნით პარტიამ, საარჩევნო ბლოკმა, ამომრჩეველთა ჯგუფმა არჩევნებამდე არა უგვიანეს 32 დღისა განცხადებით უნდა მიმართოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რის შემდეგაც მას უფლება აქვს შეაგროვოს მხარდამჭერთა ხელმოწერები. განცხადებას უნდა ერთვოდეს პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენილი პირის წერილობითი თანხმობა კენჭისყრაზე; მას უფლება აქვს თანხმობა მისცეს რამდენიმე პარტიას, საარჩევნო ბლოკს და ამომრჩეველთა ჯგუფს.

განცხადებაში მითითებული უნდა იყოს პრეზიდენტობის კანდიდატის სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, პროფესია, თანამდებობა (საქმიანობა), სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, პარტიულობა და საქართველოში ცხოვრების ვადა, აგრეთვე პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა ჯგუფის პასუხისმგებელი წარმომადგენლის ვინაობა. მას უნდა დაერთოს კანდიდატის დაბადების მოწმობის ასლი. განცხადებას ხელს უნდა აწერდეს პარტიის ხელმძღვანელი პირი, (საარჩევნო ბლოკში შემავალი ყველა პარტიის ხელმძღვანელი პირები), ამომრჩეველთა ჯგუფის ყველა წევრი:

პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა ჯგუფის პასუხისმგებელმა წარმომადგენელმა არჩევნებამდე არა უგვიანეს 23 დღისა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სია. მასში უნდა იყოს არანაკლებ 10000 ამომრჩევლის ხელმოწერა.

თუ პრეზიდენტობის კანდიდატი დამოუკიდებლად წარადგინა რამდენიმე პარტიამ, საარჩევნო ბლოკმა და ამომრჩეველთა ჯგუფმა, მხარდამჭერთა საერთო რაოდენობა უნდა იყოს არანაკლებ 10 ათასისა.

პრეზიდენტობის კანდიდატების მხარდამჭერთა სიების შედგენის წესი განისაზღვრება „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 38-ე მუხლით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუხლი 18. პრეზიდენტობის კანდიდატთა რეგისტრაცია

პრეზიდენტობის კანდიდატს რეგისტრაციაში ატარებს ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნებამდე არა უგვიანეს თორმეტი დღისა.

მხარდამჭერთა სიების შემოწმებას ცენტრალური საარჩევნო კომისია ამთავრებს არჩევნებამდე არა უგვიანეს 18 დღისა და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ატყობინებს პასუხისმგებელ წარმომადგენელს. მხარდამჭერთა სიების შემოწმების წესს ადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია და არჩევნებამდე არა უგვიანეს 32 დღისა აქვეყნებს მას რესპუბლიკურ ვაზეთებში.

თუ სიების შემოწმების შედეგად ნამდვილად ცნობილი ხელმოწერების რაოდენობა 9000-ზე ნაკლები აღმოჩნდა, კანდიდატი რეგისტრაციაში არ გატარდება, ხოლო თუ მათი რაოდენობა 10000-ზე ნაკლები, მაგრამ 9000-ზე მეტი აღმოჩნდა, პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა ჯგუფის წარმომადგენელს წინადადება ეძლევა ხუთი დღის ვადაში შეაგროვოს დამატებითი ხელმოწერები. მათი ნამდვილობის შემოწმებას კომისია ამთავრებს არჩევნებამდე არა უგვიანეს 12 დღისა. თუ ამ სიების შემოწმების შედეგად ნამდვილად ცნობილი ხელმოწერების რაოდენობა კვლავ 10000-ზე ნაკლები აღმოჩნდა, კანდიდატი რეგისტრაციაში არ გატარდება.

პრეზიდენტობის კანდიდატის თანხმობაში აღნიშნული უნდა იყოს, რომ არჩევის შემთხვევაში იგი მხოლოდ პრეზიდენტის ხელფასს მიიღებს.

ზემოთ ჩამოთვლილი საბუთების წარმდგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია აძლევს ცნობას, რომელშიც მითითებული უნდა იყოს საბუთების მიღების თარიღი და დრო.

კანდიდატთა რეგისტრაციის შემდეგ 2 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისია პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა ჯგუფის წარმომადგენელს ან კანდიდატებს გადასცემს კანდიდატთა მოწმობებს.

კანდიდატების გვარები ინომრება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მათი მხარდამჭერთა სიების წარდგენის რიგის მიხედვით და ქვეყნდება პრესაში რეგისტრაციის დამთავრებიდან 3 დღის ვადაში. ამავე ვადაში ქვეყნდება იმ კანდიდატთა სია, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე, აგრეთვე უარის მიზეზები.

მუხლი 19. კანდიდატად წარდგენის შესახებ ვადაწყვეტილების გაუქმება, კანდიდატის მიერ თავისი კანდიდატურის მოხსნა

პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა ჯგუფს უფლება აქვს კანდიდატის რეგისტრაციამდე ნებისმიერ დროს გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის შესახებ. მის კანდიდატურას მოხსნის ცენტრალური საარჩევნო კომისია პარტიის ხელმძღვანელი პირის (საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული ყველა პარტიის ხელმძღვანელ პირთა, ამომრჩეველთა ჯგუფის ყველა წევრის) მიერ ხელმოწერილი განცხადების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანდიდატს არჩევნებამდე ნებისმიერ დროს შეუძლია მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც სათანდო განცხადებით უნდა მიმართოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

ინფორმაციას ზემოაღნიშნულის შესახებ ცენტრალური საარჩევნო კომისია აქვეყნებს განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში, ხოლო თუ არჩევნებამდე ოთხ დღეზე ნაკლებია დარჩენილი — დაუყოვნებლივ.

კარი IV.

არჩევნების მონაწილე პრეზიდენტობის კანდიდატთა საქმიანობის გარანტიები

მუხლი 20. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების მონაწილე პრეზიდენტობის კანდიდატთა საქმიანობის გარანტიები უზრუნველყოფილია „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად.

კარი V.

ხმის მიცემა

მუხლი 21. საარჩევნო ბიულეტენი

საარჩევნო ბიულეტენის ფორმას განსაზღვრავს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

საარჩევნო ბიულეტენში პრეზიდენტობის კანდიდატები შეაქვთ წარდგენის რიგის მიხედვით.

ბიულეტენში მითითებული უნდა იყოს პრეზიდენტობის კანდიდატის სახელი, გვარი, დაბადების წელი, პროფესია, თანამდებობა (საქმიანობა), სამუშაო ადგილი, პარტიულობა, პრეზიდენტობის კანდიდატის წარმდგენი პარტიის (საარჩევნო ბლოკის) დასახელება; თუ კანდიდატი ამომრჩეველთა ჯგუფის განცხადების საფუძველზეა წარდგენილი, უნდა დაიწეროს „დამოუკიდებელი“.

საარჩევნო ბიულეტენებს ბეჭდავს ცენტრალური საარჩევნო კომისია ქართულ ენაზე, აფხაზეთისათვის — ქართულსა და აფხაზურ ენებზე, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში — საარჩევნო ოლქის მოსახლეობის რომელიმე ნაწილისათვის გასაგებ სხვა ენაზეც.

საარჩევნო ბიულეტენები ზუსტ აღრიცხვას ექვემდებარება. ცენტრალური და მისი ქვემდგომი საარჩევნო კომისიები უზრუნველყოფენ საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის ბიულეტენების გადაცემას არჩევნებამდე არა უგვიანეს 5 დღისა. ყოველ საოლქო (ტერიტორიულ, ადგილობრივ) საარჩევნო კომისიას უნდა გადაეცეს შესაბამის საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაახლოებით ხუთი პროცენტით მეტი ბიულეტენი. ბიულეტენების მიღებას ხელმოწერით ადასტურებს კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე ან მდივანი.

მუხლი 22. ხმის მიცემის წესი

ხმის მიცემის დრო, ადგილი, მისი მოწყობა განისაზღვრება „რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად.

ამომრჩეველმა ბიულეტენში უნდა შემოხაზოს პრეზიდენტობის იმ კანდიდატის რიგითი ნომერი, რომელსაც აძლევს ხმას.

ᲙᲐᲠᲘ VI

არჩევნების შედეგების შეჯამება და გამარჯვებული კანდიდატის გამოვლინება

მუხლი 23. ხმების დათვლა საარჩევნო უბნებში

ხმების დათვლისას დაცული უნდა იყოს შემდეგი თანამიმდევრობა:

1) ხმის მიცემის დამთავრების შემდეგ საარჩევნო კომისია ითვლის და პაკეტად კრავს გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს. პაკეტს უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა; მას ხელს უნდა აწერდნენ კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი;

2) ამომრჩეველთა ძირითადი და დამატებითი სიების მიხედვით საუბნო საარჩევნო კომისია აგენს საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას, აგრეთვე არჩევნების მონაწილეთა ანუ იმ ამომრჩეველთა რაოდენობას, რომლებმაც მიიღეს ბიულეტენები;

3) საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრების თანდასწრებით ამოწმებს ბეჭდის მთლიანობას საარჩევნო ყუთებზე, ხსნის მათ და ამოწმებს ყუთებში საკონტროლო ფურცლის არსებობას;

4) კომისია ითვლის ყუთებში არსებული ბიულეტენების ანუ ხმის მიცემის მონაწილეთა რაოდენობასა და ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობას (ბათილად ცნობენ დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენებსა და ბიულეტენებს, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია დადგინდეს, თუ ვის მისცა ხმა ამომრჩეველმა. ყველა სხვა შემთხვევაში ბიულეტენი ნამდვილად ითვლება). ბათილად ცნობილი ბიულეტენები ცალკე კონვერტებში იდება და იმგვარად იბეჭდება, რომ ბეჭდის დაუზიანებლად შეუძლებელი იყოს ბიულეტენების ამოღება ან ჩადება. კონვერტებს უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, მასში ჩადებული ბიულეტენების რაოდენობა;

5) კომისია ახარისხებს ბიულეტენებს და ცალ-ცალკე ითვლის ყოველი კანდიდატისათვის მიცემული ხმების რაოდენობას. ამის შემდეგ ბიულეტენები ისევე უნდა ჩაიწყოს, როგორც მეოთხე პუნქტშია მითითებული;

6) საუბნო საარჩევნო კომისია თავის სხდომაზე განიხილავს და ოქმში შეიტანს ხმების დათვლის შედეგებს. ოქმის ცალთა რაოდენობა ორით უნდა აღემა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტებოდეს საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი კანდიდატების რაოდენობას. ოქმის ყოველ ცალს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და წევრები. მას უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი;

7) ოქმის პირველ ცალს და ყველა საარჩევნო ბიულეტენს დაუყოვნებლივ უგზავნიან შესაბამის საოლქო (ტერიტორიულ, ადგილობრივ) საარჩევნო კომისიას მის მიერ დადგენილი წესით, მეორე ცალი ინახება თვით საუბნო საარჩევნო კომისიაში, თითო ცალი კი უნდა ჩაბარდეს დასახელებული კანდიდატების წარმომადგენლებს.

საარჩევნო ბიულეტენის ნამდვილობაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში საკითხს კენჭისყრით წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისია.

მუხლი 24. ხმების დათვლა საარჩევნო ოლქში

საოლქო (ტერიტორიული, ადგილობრივი) საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე ადგენს გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობას, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას საარჩევნო ოლქში, არჩევნების მონაწილეთა, ხმის მიცემის მონაწილეთა და ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობას.

საოლქო (ტერიტორიულ, ადგილობრივ) საარჩევნო კომისიას შეუძლია არჩევნები ბათილად ცნოს იმ საარჩევნო უბნებში, სადაც მოხდა ამ კანონის უხეში დარღვევა. საჩივარი ასეთი დარღვევების შესახებ საოლქო (ტერიტორიულ, ადგილობრივ) საარჩევნო კომისიას შეიძლება წარედგინოს არა უგვიანეს არჩევნების მომდევნო დღისა.

საოლქო (ტერიტორიული, ადგილობრივი) საარჩევნო კომისია თავის სხდომაზე ამტკიცებს არჩევნების შედეგებს და ადგენს ოქმს.

ოქმის ცალთა რაოდენობა ორით უნდა აღემატებოდეს საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი კანდიდატების რაოდენობას. ოქმის ყველა ცალს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და წევრები. მას უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი.

ოქმის პირველი ცალი და გამოუყენებელი ბიულეტენები არჩევნების ჩატარებიდან არა უგვიანეს მე-3 დღისა ეგზავნება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მის მიერ დადგენილი წესით, თითო ცალი კი უნდა ჩაბარდეს კანდიდატების ნდობით აღჭურვილ პირებს.

მუხლი 25. არჩევნების შედეგების დადგენა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ. გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა

ცენტრალური საარჩევნო კომისია საოლქო (ტერიტორიული, ადგილობრივი) საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე ადგენს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას საქართველოში, არჩევნების მონაწილეთა რაოდენობას, ხმის მიცემის მონაწილეთა, თითოეული კანდიდატისათვის მიცემული ხმებისა და ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობას.

პირველ ტურში არჩეულად ჩაითვლება პრეზიდენტობის კანდიდატი, რომელიც მიიღებს არჩევნებში ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეზიდენტის არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტმა.

თუ არჩევნები ჩატარებულად არის ცნობილი, წარდგენილი იყო პრეზიდენტობის ორზე მეტი კანდიდატი, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ მიიღო ხმის მიცემის მონაწილეთა ხმების ნახევარზე მეტი, ცენტრალური საარჩევნო კომისია ნიშნავს არჩევნების მეორე ტურს. არჩევნების მეორე ტური ეწყობა ორი კვირის ვადაში.

თუ არჩევნები ჩატარებულად არ ჩაითვალა, პირველი ტურის ჩატარებიდან ორი თვის განმავლობაში ეწყობა ხელახალი არჩევნები.

ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნების ჩატარებიდან 5 დღის ვადაში თავის სხდომაზე აჯამებს არჩევნების შედეგებს საარჩევნო ოლქების მიხედვით და შეაქვს ოქმში.

ოქმის ცალთა რაოდენობა ორით უნდა აღემატებოდეს ბიულეტენში შეტანილი კანდიდატების რაოდენობას. ოქმის ყოველ ცალს ხელს აწერენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და წევრები, მას უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი.

ოქმის პირველი ცალი ინახება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, თითო ცალი კი უნდა ჩაბარდეს კანდიდატების წარმომადგენლებს.

შედეგების შეჯამებიდან ხუთი დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისია რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით აქვეყნებს ცნობას არჩევნების შედეგების შესახებ.

კარი VII

არჩევნების მეორე ტური. ხელახალი არჩევნები

მუხლი 26. არჩევნების მეორე ტური

არჩევნების მეორე ტური ეწყობა იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი იყო პრეზიდენტობის ორზე მეტი კანდიდატი, არჩევნები ჩატარებულად ჩაითვალა, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოაგროვა ხმის მიცემის მონაწილეთა ხმების ნახევარზე მეტი.

მეორე ტური ტარდება ორი კვირის ვადაში და მასში მონაწილეობის უფლება აქვს იმ ორ კანდიდატს, რომლებმაც პირველ ტურში მიიღეს ყველაზე მეტი ხმა.

მეორე ტურში არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტმა.

არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეორე ტურში მეტ ხმას მიიღებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ტურში კანდიდატების მიერ ხმათა ტოლი რაოდენობის დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა ეძლევა იმ კანდიდატს, რომელმაც პირველ ტურში უფრო მეტი ხმა მოაგროვა.

მუხლი 27. ხელახალი არჩევნები

ხელახალი არჩევნები ეწყობა იმ შემთხვევაში, თუ რესპუბლიკაში არჩევნები ჩატარებულად არ ჩაითვალა, ე. ი. მასში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლებმა, ან თუ არჩევნები ჩატარებულად ჩაითვალა, წარდგენილი იყო ერთი ან ორი კანდიდატი და არც ერთი მათგანი არ იქნა არჩეული.

ხელახალი არჩევნები ტარდება პირველი ტურის ჩატარებიდან ორი თვის განმავლობაში.

პრეზიდენტობის კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ იმ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს, რომლებიც მონაწილეობდნენ არჩევნების პირველ ტურში, აგრეთვე ამომრჩეველთა ჯგუფებს ამ კანონით დადგენილი წესით.

ხელახალი არჩევნების დროს საარჩევნო ღონისძიებანი ტარდება ამ კანონით დადგენილი წესით ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადებში.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 18 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

301 „პრეფექტურის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

საქართველოს რესპუბლიკის კანონი „პრეფექტურის შესახებ“ მიღებულ იქნეს პირველი წაკითხვით.

საქართველოს რესპუბლიკინ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 18 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

302 ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონისათვის სახელის გადარქმევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

გადაერქვას სახელი ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონს და ეწოდოს ჩუღურეთის რაიონი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 18 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

303 აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს მიერ განხორციელებული ქ. გაგრისადმი ადმინისტრაციულად დაქვემდებარებული ბზიფის სასოფლო საბჭოს სადაბო საბჭოდ გარდაქმნის დამტკიცების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 28 თებერვალს განხორციელებული ქ. გაგრისადმი ადმინისტრაციულად დაქვემდებარებული ბზიფის სასოფლო საბჭოს სადაბო საბჭოდ და სოფელ ბზიფის დაბა ბზიფად გარდაქმნა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 18 აპრილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

304 **თეთრი წყაროს რაიონის შეხვეტილას სასოფლო საბჭოს სოფელ პოლიანასათვის სახელის გადარქმევის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

გადაერქვას სახელი თეთრი წყაროს რაიონის შეხვეტილას სასოფლო საბჭოს სოფელ პოლიანას და ეწოდოს სოფელი ჯვრისხევი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 18 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

305 **საქართველოს რესპუბლიკის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და სახელმწიფო რეზერვების სამინისტროსათვის სახელის გადარქმევის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

გადაერქვას სახელი საქართველოს რესპუბლიკის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და სახელმწიფო რეზერვების სამინისტროს და ეწოდოს საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რესურსების სამინისტრო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 18 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

306 საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის სამინისტროს შექმნის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**
შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის სამინისტრო.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 18 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

307 საქართველოს რესპუბლიკის შინაგან ჯარებში — ეროვნულ გვარდიაში სამხედრო სამსახურის გავლის წესის დროებით დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 29 იანვრის დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს რესპუბლიკის შინაგან ჯარებში — ეროვნულ გვარდიაში სამხედრო სამსახურის გავლის წესის დროებით დებულებაში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-9 მუხლში სიტყვები „უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი“ შეიცვალოს სიტყვით „პრეზიდენტი“.

2. მე-13 მუხლში სიტყვები „უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს“ შეიცვალოს სიტყვით „პრეზიდენტს“.

3. მე-14 მუხლში სიტყვები „უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის“ შეიცვალოს სიტყვით „პრეზიდენტის“.

4. მე-17 მუხლის მეოთხე და მეექვსე აბზაცებში სიტყვები „უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი“ და „უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს“ შეიცვალოს. შესაბამისად სიტყვებით „პრეზიდენტი“ და „პრეზიდენტს“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 18 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(23 აპრილის სხდომა)

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

308 პრეფექტურის შესახებ

„გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად „პრეფექტურის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი არეგულირებს სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოს — პრეფექტურის მუშაობას, განსაზღვრავს მის კომპეტენციას, აწესრიგებს ურთიერთობას სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან, დარგობრივ სამსახურებთან, საწარმოებთან, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებთან დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე.

ქ ა რ ი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. პრეფექტურის ცნება

პრეფექტურა არის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანო რესპუბლიკური დაქვემდებარების რაიონსა და ქალაქში. იგი შესაბამის ტერიტორიაზე უზრუნველყოფს საერთო-რესპუბლიკური ინტერესების დაცვას, სახელმწიფო ხელისუფლების, მმართველობის ზემდგომი ორგანოებისა და შესაბამის საკრებულოთა გადაწყვეტილებების განხორციელებას; წარმართავს სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ განვითარებას; უფლებამოსილია გადაწყვიტოს სახელმწიფო მმართველობის ის საკითხები, რომლებიც მმართველობის ადგილობრივ ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება.

პრეფექტურის კომპეტენცია, საქმიანობის წესი, მისი ურთიერთობა სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, საწარმოებსა და მოქალაქეებთან განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით, ამ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით.

მუხლი 2. პრეფექტურის სისტემა

პრეფექტურა იქმნება:

ა) რესპუბლიკური დაქვემდებარების რაიონში;

ბ) რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქში, რომელსაც არა აქვს რაიონული დაყოფა და ადმინისტრაციულად ექვემდებარება სასოფლო რაიონი;

გ) რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქში, რომელსაც აქვს რაიონული დაყოფა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქში, რომელსაც არა აქვს რაიონული დაყოფა;

ე) რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქში, რომელსაც არა აქვს რაიონული დაყოფა და რომლის თანამოსახელე რაიონიც არსებობს.

ამ მუხლის „ე" პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევაში იქმნება და მოქმედებს ერთი საერთო პრეფექტურა.

მუხლი 3. პრეფექტურის საქმიანობის ძირითადი პრინციპები

პრეფექტურა ხელმძღვანელობს შემდეგი ძირითადი პრინციპებით: საერთორესპუბლიკური და ადგილობრივი ინტერესების ურთიერთშეთანხმება, კანონიერება და მისი უზრუნველყოფა, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, საჯაროობა და საზოგადოებრივი აზრის, ეროვნული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების გათვალისწინება.

კ ა რ ი II

პრეფექტურის სტრუქტურა და პრეფექტურის თანამდებობის პირები

მუხლი 4. პრეფექტურის სტრუქტურა

პრეფექტურა შედგება პრეფექტის, მისი მოადგილის (მოადგილეების), პრეფექტის კაბინეტის, პრეფექტურის კანცელარიის, პრეფექტურის სამსახურებისაგან.

რაიონის (ქალაქის) თავისებურებათა გათვალისწინებით იქმნება: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, არქიტექტურისა და მშენებლობის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სპორტის, კომუნალური და საბინაო მეურნეობის, სოციალური უზრუნველყოფის, დემოგრაფიისა და სხვა სამსახურები.

პრეფექტურის სტრუქტურას, წინადადებებს მის მუშაკთა რაოდენობისა და მათი შესანახი ხარჯების ოდენობის შესახებ შეიმუშავებს პრეფექტი და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წარდგინებით.

ქალაქ თბილისის მმართველობის ორგანიზაციას განსაზღვრავს ცალკე კანონი.

მუხლი 5. პრეფექტი

პრეფექტი რაიონისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის უმაღლესი თანამდებობის პირია, რომელიც, ხელმძღვანელობს რა სახელმწიფო ინტერესებით, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში პრეფექტურის მეშვეობით წარმართავს სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ განვითარებას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეფექტი პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია საქართველოს ეროვნ. პუბლიკის პრეზიდენტის, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში—ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოებისა და მინისტრთა საბჭოების წინაშეც.

მუხლი 6. პრეფექტის მოადგილე

პრეფექტის მოადგილეს (მოადგილეებს) ნიშნავს პრეფექტი.

პრეფექტის მოადგილე (მოადგილეები) მოვალეობათა განაწილების შესაბამისად ხელმძღვანელობს მეურნეობის ცალკეულ დარგებს, კოორდინაციასა და კონტროლს უწევს პრეფექტურისა და მისი საქვეუწყებო სამსახურების საქმიანობას, აძლევს მათ მითითებებს პრეფექტის ბრძანებებისა და განკარგულებების შესრულების უზრუნველსაყოფად;

ხელმძღვანელობს პრეფექტურის კანცელარიას, კოორდინაციას უწევს პრეფექტურის საქმიანობას მასზე დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად. პრეფექტის არყოფნის შემთხვევაში მოადგილე ახორციელებს მის უფლებამოსილებას, რომელიც განსაზღვრულია ამ კანონით და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

პრეფექტის მოადგილე (მოადგილეები) არ შეიძლება იყოს საკრებულოს წევრი.

მუხლი 7. პრეფექტის კაბინეტი

პრეფექტის კაბინეტი პრეფექტურის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოა, რომელიც შეიმუშავებს წინადადებებს პრეფექტისათვის დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად.

პრეფექტის კაბინეტი იქმნება პრეფექტის უფლებამოსილების ვადით.

პრეფექტის კაბინეტის შემადგენლობაში შედიან: პრეფექტი, პრეფექტის მოადგილე (მოადგილეები), პრეფექტურის კანცელარიის გამგე, პრეფექტურის იურიდიული განყოფილების გამგე (იურისტი) და პრეფექტის შერჩევით პრეფექტურისა და მისი საქკეუწყებო სამსახურების ცალკეული ხელმძღვანელები.

პრეფექტის კაბინეტის სხდომას იწვევს და უძღვება პრეფექტი ან მისი მოადგილე.

პრეფექტის კაბინეტის სხდომაზე განიხილება ამ კანონით გათვალისწინებული საკითხები და დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ პრეფექტი და კანცელარიის გამგე. კაბინეტის აზრის გათვალისწინებით პრეფექტი იღებს აქტებს და ხელს აწერს მათ. აქტი ძალაში შედის ხელის მოწერის დღიდან, თუ მასში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 8. პრეფექტურის კანცელარია

პრეფექტურის კანცელარია აერთიანებს სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან მუშაობის განყოფილებას, საერთო და იურიდიულ განყოფილებებს (იურისტს), კადრების სექტორს, ბუღალტერს და ტექნიკურ პერსონალს; იგი ემსახურება პრეფექტურას; შეიმუშავებს წინადადებებს, ამზადებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეფექტის გადაწყვეტილებების პროექტებს და სისტემატურად აკონტროლებს მათ შესრულებას.

პრეფექტურის კანცელარიის საქმიანობას წარმართავს პრეფექტურის კანცელარიის გამგე, რომელსაც ნიშნავს პრეფექტი.

პრეფექტურის კანცელარიის მუშაობის ორგანიზაცია და კომპეტენცია განისაზღვრება შესაბამისი დებულებით.

მუხლი 9. პრეფექტურის სამსახურები

პრეფექტურის სამსახურები რაიონებში და რესპუბლიკური დაქვემდებარეების ქალაქებში მმართველობის ორგანოებია, რომლებიც წარმართავენ სამეურნეო კომპლექსის სხვადასხვა დარგების საქმიანობას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში .

პრეფექტურის სამსახურების ხელმძღვანელებს ნიშნავს პრეფექტი მმართველობის შესაბამის რესპუბლიკურ (ავტონომიური რესპუბლიკის) ორგანოებთან შეთანხმებით. შინაგან საქმეთა რაიონული (საქალაქო) განყოფილების უფროსს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი რაიონის (ქალაქის) პრეფექტთან შეთანხმებით.

პრეფექტურის სამსახურების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები არ შეიძლება იყვნენ საკრებულოს წევრები.

პრეფექტურაში შეიძლება შეიქმნას ახალი საქვეუწყებო სამსახურები. მომხდარი ცვლილებების დამტკიცების საკითხი წყდება ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

პრეფექტურათა სამსახურები ორმაგ დაქვემდებარებაში იმყოფებიან — ემორჩილებიან როგორც პრეფექტს, ისე შესაბამის რესპუბლიკურ უწყებას.

პრეფექტურის სამსახურები იღებენ გადაწყვეტილებებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 10. პრეფექტურის სამსახურებისა და სხვა საქვეუწყებო ორგანოების ხელმძღვანელები, პრეფექტურის კანცელარიის გამგე

პრეფექტურის სამსახურების, სხვა საქვეუწყებო ორგანოების ხელმძღვანელთა, აგრეთვე პრეფექტურის კანცელარიის გამგის უფლებამოსილებას განსაზღვრავს შესაბამისი დებულება.

ᲙᲐᲠᲘ III

პრეფექტის უფლებამოსილება

მუხლი 11. პრეფექტის უფლებამოსილების ზოგადი საკითხები

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის, ამ კანონისა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა კანონების შესაბამისად პრეფექტი:

ა) ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობასა და კონტროლს შესაბამისი ტერიტორიის მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისადმი, უზრუნველყოფს მათ შეუფერხებელ საქმიანობას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ხელმძღვანელობს და წარმართავს პრეფექტურისა და სხვა საქვეუწყებო სამსახურების საქმიანობას;

გ) ხელმძღვანელობს ადგილობრივ მეურნეობას მიკუთვნებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას;

დ) კონტროლს უწევს მოქმედი კანონმდებლობის დაცვას ბუნებათსარგებლობის, მათ შორის მიწათსარგებლობის, გარემოს დაცვის, მშენებლობის, შრომითი რესურსების გამოყენების, სახალხო მოხმარების საგნების წარმოების, ბოსახლეობის სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში იმ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას, რომლებიც ადგილობრივ საკუთრებას არ განეკუთვნებიან;

ე) უზრუნველყოფს არჩევნებისა და რესპუბლიკური რეფერენდუმის ჩატარებას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე;

ვ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრაციაში ატარებს საწარმოებს, იძლევა სამეურნეო საქმიანობის დაწყების ნებართვას, აჩერებს საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობას;

ზ) უზრუნველყოფს საქართველოს რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკების სამთავრობათშორისო ხელშეკრულებების შესრულებას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე.

პრეფექტისა და შესაბამისი საკრებულოს ან რესპუბლიკის დარგობრივი სამსახურების მიერ ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში დავის საბოლოოდ გადაწყვეტამდე პრეფექტურა და შესაბამისი საკრებულოს გამგეობა (გამგებელი) ხელმძღვანელობენ პრეფექტის განკარგულებებითა და ბრძანებებით. სადავო საკითხები განიხილება და წყდება საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 12. პრეფექტის მიერ პრეფექტის კაბინეტთან ერთად გადასაწყვეტი საკითხები

პრეფექტი კაბინეტთან ერთად:

ა) იღებს გადაწყვეტილებებს საკრებულოს რიგგარეშე სესიის მოწვევის შესახებ;

ბ) ამტკიცებს დებულებებს პრეფექტურის, მისი კანცელარიისა და სხვა საქვეუწყებო სამსახურების შესახებ;

გ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებებს სამეურნეო ამხანაგობების, საზოგადოებებისა და სხვა გაერთიანებების რეგისტრაციის შესახებ;

დ) ამტკიცებს პრეფექტურის საქმიანობის ანგარიშს;

ე) აუქმებს პრეფექტურისა და სხვა საქვეუწყებო სამსახურების აქტებს, დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების აქტებს, თუ ისინი არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) იღებს გადაწყვეტილებებს სხვადასხვა არასაბიუჯეტო ფონდის შექმნისა და გამოყენების შესახებ (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად);

ზ) იღებს გადაწყვეტილებებს რაიონის (ქალაქის) სესხისა და სხვა გრძელვადიან ვალდებულებათა საკითხებზე (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად);

თ) იღებს გადაწყვეტილებებს საკადრო საკითხებზე ამ კანონისა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა კანონების შესაბამისად.

მუხლი 13. უშუალოდ პრეფექტის მიერ გადასაწყვეტი საკითხები

პრეფექტი:

ა) ნიშნავს მოადგილეს (მოადგილეებს), პრეფექტურის კანცელარიის გამგეს;

ბ) კონტრაქტის საფუძველზე ნიშნავს სახელმწიფო საკუთრების ადგილობრივი საწარმოს ხელმძღვანელს;

გ) დებს ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს უცხოეთის სახელმწიფოების, სხვა რესპუბლიკების მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან საქართველოს რესპუბლიკის შესაბამის სამსახურებთან შეთანხმების საფუძველზე;

დ) დებს სამეურნეო ხელშეკრულებებს უცხოეთის ფირმებთან საქართველოს რესპუბლიკის შესაბამის უწყებებთან შეთანხმებით;

ე) პასუხს აგებს პრეფექტურის მთელ საქმიანობაზე;

ვ) ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 14. პრეფექტის უფლებამოსილება საბიუჯეტო-საფინანსო საქმიანობის სფეროში

პრეფექტი:

ა) შეიმუშავებს რაიონის (ქალაქის) ბიუჯეტს, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს და წარუდგენს დასამტკიცებლად შესაბამის საკრებულოს;

ბ) ანგარიშს აბარებს საქართველოს მთავრობასა და შესაბამის საკრებულოს ბიუჯეტის შესრულების შესახებ, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს;

გ) ახორციელებს ერთიან საფინანსო, საკრედიტო და ფულად პოლიტიკას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე;

დ) წარუდგენს შესაბამის საკრებულოს წინადადებებს ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლების, ბაჟების დაწესების, აგრეთვე ადგილობრივი სესხების, აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების შემოღებისა და გავრცელების შესახებ;

ე) ქმნის ადგილობრივი მმართველობის განვითარებისათვის საჭირო ფონდებს, აგრეთვე სტიქიური უბედურებებისა და კატასტროფების შედეგების სალიკვიდაციო ფონდებს;

ვ) მონაწილეობს ფასების ერთიანი პოლიტიკის განხორციელებასა და ფასების სისტემის სრულყოფაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 15. პრეფექტის უფლებამოსილება გარემოს დაცვისა და ბუნებათ-სარგებლობის სფეროში

პრეფექტი:

ა) ახორციელებს კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად და კომპლექსურად გამოყენებაზე, წყვეტს მიწათსარგებლობის, ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენების საკითხებს;

ბ) იღებს გადაწყვეტილებებს იმ ობიექტების მშენებლობის ან რეკონსტრუქციის შეწყვეტის შესახებ, რომელთა მიმართაც არ არსებობს ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა;

გ) აჩერებს იმ ობიექტების სამეურნეო საქმიანობას, რომლებიც არღვევენ რესპუბლიკურ კანონმდებლობას ბუნების დაცვის შესახებ, აკისრებს მათ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას კანონით დადგენილი წესით;

დ) ქმნის სამშენებლო ობიექტების მიმღებ სახელმწიფო კომისიებს, ამტკიცებს დამთავრებული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების აქტებს;

ე) საჭიროების შემთხვევაში ქმნის არასაბიუჯეტო ფონდებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად და კომპლექსურად გამოყენებისათვის;

ვ) საერთო რესპუბლიკური კანონმდებლობიდან გამომდინარე უწესებს მის ტერიტორიაზე მოქმედ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს (მიუხედავად საკუთრების ფორმისა) დიფერენცირებულ გადასახადს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის;

ზ) უზრუნველყოფს ეკოლოგიური მდგომარეობის სტაბილიზაციის მისაღწევად აუცილებელ ღონისძიებათა განხორციელებას.

მუხლი 16. პრეფექტის უფლებამოსილება მოქალაქეთა პოლიტიკური და სოციალური უფლებების დაცვის სფეროში

პრეფექტი:

ა) უზრუნველყოფს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, აუქმებს მისდამი დაქვემდებარებულ ორგანოთა და ორგანიზაციათა აქტებს, რომლებიც ლახავენ მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს;

ბ) იხილავს მოქალაქეთა განცხადებებს, საჩივრებსა და წინადადებებს, აკონტროლებს მათში დასმული საკითხების დროულ და სწორ გადაწყვეტას ყველა ორგანოსა და ორგანიზაციის მიერ, ისმენს მათ ხელმძღვანელთა ანგარიშებს დასმულ საკითხებთან დაკავშირებით და აკისრებს ადმინისტრაციულ სახდელებს მოქალაქეთა უფლებების შელახვისათვის;

გ) ორგანიზაციას უწევს დაუსაქმებელ მოქალაქეთა აღრიცხვასა და დასაქმებას;

დ) კოორდინაციას უწევს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის დაწესებულებების საქმიანობას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) ხელს უწყობს ეკლესიების, სხვა საკულტო და რელიგიურ ნაგებობათა მშენებლობას;

ვ) აკონტროლებს სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებების საქმიანობას, უზრუნველყოფს პენსიებისა და სხვა დახმარებების სწორად დანიშვნას და დროულად გადახდას, მოქალაქეებისათვის კანონით გათვალისწინებული შეღავათების მიცემას;

ზ) კოორდინაციას უწევს საბინაო მშენებლობას, უზრუნველყოფს მოქალაქეთა ბინის უფლების დაცვას;

თ) დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე უზრუნველყოფს მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და ეკოლოგიური კატასტროფების თავიდან აცილების საერთო-რესპუბლიკური პროგრამების განხორციელებას.

მუხლი 17. პრეფექტის ულფებამოსილება კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის საქმეში

პრეფექტი:

ა) კონტროლს უწევს საქართველოს რესპუბლიკის კანონების და სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის რესპუბლიკური ორგანოების აქტების დაცვას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე;

ბ) კონტროლს უწევს კანონიერების დაცვას ადგილობრივი მმართველობის ქვემდგომი ორგანოების საქმიანობაში;

გ) კოორდინაციას უწევს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე, ყველა სახელმწიფო ორგანოსა და შესაბამისი თანამდებობის პირის საქმიანობას სამართალდარღვევების აღსაკვეთად;

დ) იღებს ზომებს სტიქიური უბედურებებისა და კატასტროფების დროს მატერიალურ ფასეულობათა გადასარჩენად, კანონიერებისა და მართლწესრიგის დასაცავად;

ე) ხელმძღვანელობს სახანძრო დაცვის ორგანოებისა და ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმების საქმიანობას.

მუხლი 18. პრეფექტის უფლებამოსილება თავდაცვის საქმეში

პრეფექტი:

ა) უზრუნველყოფს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებას თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების მიერ;

ბ) ხელს უწყობს მოქალაქეთა გაწვევას ნამდვილ სამხედრო სამსახურში, აგრეთვე სამხედრო სასწავლო შეკრებებისა და დაწყებითი სამხედრო მომზადების ორგანიზაციასა და განხორციელებას;

გ) ხელმძღვანელობს სამოქალაქო თავდაცვას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა რ ი IV

მუხლი 19. პრეფექტის აქტები

1. პრეფექტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს განკარგულებებსა და ბრძანებებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა მთელ დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე.

2. პრეფექტის აქტი, რომელსაც აქვს ნორმატიული ხასიათი, მიიღება განკარგულების სახით, ხოლო ოპერატიულ და სხვა მიმდინარე არანორმატიულ საკითხებზე გამოიცემა ბრძანების სახით.

3. პრეფექტის აქტების შეჩერება შეუძლია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს.

4. პრეფექტის აქტების გაუქმება შეუძლია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს თავისი ინიციატივით ან საპროკურორო ზედამხედველობის მასალებზე დაყრდნობით. პრეფექტის აქტების გაუქმება შეუძლია სასამართლოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში.

მუხლი 20. პრეფექტურის სამსახურების აქტები

პრეფექტურის სამსახურები იღებენ გადაწყვეტილებებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

კ ა რ ი V

დასკვნითი დებულებები

მუხლი 21. პრეფექტურისა და საკრებულოს ურთიერთობა

1. პრეფექტურა და საკრებულო ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ახორციელებენ მათზე დაკისრებულ ფუნქციებს.

2. პრეფექტის კაბინეტის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ შესაბამისი საკრებულოს მდივანს, გამგეობის თავმჯდომარეს (გამგებელს).

3. პრეფექტს უფლება აქვს სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღოს საკრებულოებისა და მათი გამგეობების საქმიანობაში.

4. პრეფექტურისა და საკრებულოს (გამგეობის) ურთიერთობის საკითხებს, რომელთაც არ ითვალისწინებს ეს კანონი, განსაზღვრავს მოქმედი კანონმდებლობა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 23 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

309 საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

„პრეფექტურის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 92-ე მუხლის მე-4 ნაწილში სიტყვები „პრეფექტისა და მისი მოადგილის“ შეიცვალოს სიტყვით „პრეფექტის“.

2. 146-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„პრეფექტი ანგარიშვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წინაშე, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკაში — აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს წინაშეც. გამგეობა და გამგებელი ანგარიშვალდებულნი არიან შესაბამისი საკრებულოსა და პრეფექტის წინაშე“.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 23 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

310 „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

შეტანილ იქნეს „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში შემდეგი ცვლილებები და დამატებანი:

1. კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „საკრებულოს მიერ არჩეული აღმასრულებელი ორგანო — საკრებულოს გამგეობა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. კანონის მე-5 მუხლში:

ა) პირველი პუნქტის მე-4 ნაწილის პირველი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„პრეფექტს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან (ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქისა და რაიონის პრეფექტს) შეთანხმებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი“.

ბ) პირველი პუნქტის მე-4 ნაწილის მე-2 წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„პრეფექტი პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკაში — აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წინაშე“.

გ) მე-5 ნაწილი ამოღებულ იქნეს.

დ) მე-2 პუნქტის მე-6 აბზაცს წინ დაემატოს სიტყვები „კანონით დადგენილი წესით“.

ე) მე-3 პუნქტის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„პრეფექტის აქტების შეჩერება შეუძლიათ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს. პრეფექტის აქტების გაუქმება შეუძლიათ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს თავისი ინიციატივით ან საპროკურორო ზედამხედველობის მასალებზე დაყრდნობით, აგრეთვე სასამართლოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში“.

ვ) მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5) რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქში (რომელსაც არა აქვს რაიონული დაყოფა, ადმინისტრაციულად არ ექვემდებარება სასოფლო რაიონი და არა აქვს თანამოსახელე რაიონი) გამგეობა (გამგებელი) არ აირჩევა“.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია

თბილისი, 1991 წლის 23 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

311 „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

„საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 18 აპრილის კანონის მე-2 მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„არჩევნებში არ მონაწილეობენ ფსიქიკურად დაავადებული მოქალაქენი, რომლებიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო, აგრეთვე ის პირნი, რომლებიც სასამართლოს განაჩენით თავისუფლების აღკვეთის ადგილას იმყოფებიან ან რომელთა მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით შერჩეულია აღკვეთის ღონისძიება — დაპატიმრება“.

ეს კანონი ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 23 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

312 „საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის რიგებში საგალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის წესის შესახებ დროებითი დებულების“ დამტკიცების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს „დროებითი დებულება საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის რიგებში საგალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის წესის შესახებ“ და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 23 აპრილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს 1991 წლის 23 აპრილის
დადგენილებით

დროებითი დებულება

საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის რიგებში სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის წესის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადის საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის სამხედრო ნაწილებსა და გასამხედროებულ მუშათა რაზმებში.

სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადად ყველა სამხედრო მოსამსახურისათვის დაწესებულია 2 წელი, რომელიც იწყება სამხედრო სამსახურში გაწვევის დღიდან და მთავრდება სამხედრო ნაწილის მეთაურის ბრძანების საფუძველზე.

სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულნი დებენ სამხედრო ფიცს.

უმცროსი მეთაურებისა და სპეციალისტების მომზადება ხდება სათანადო სამხედრო სკოლებში ან სამხედრო ნაწილებში. უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლების მქონე სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულნი, როგორც წესი, იგზავნებიან უმცროსი მეთაურებისა და სპეციალისტების მოსამზადებელ სამხედრო სკოლებში.

სასწავლო ნაწილების მოსწავლე რიგითები იწოდებიან კურსანტებად.

სასწავლო პროგრამებს ამუშავებს შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველო.

სასწავლო ნაწილებიდან კურსანტები შეიძლება გაირიცხონ უდისციპლინობისა და ცუდი სწავლისათვის, აგრეთვე ავადმყოფობის გამო.

კურსანტებს, რომლებმაც დაამთავრეს სასწავლო ნაწილები სერჟანტების მომზადების პროგრამით და ჩააბარეს დაწესებული გამოცდები, ენიჭებათ სამხედრო წოდება.

სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულ პირებს პირადი შემადგენლობის სიაში ჩარიცხვისთანავე ენიჭებათ სამხედრო წოდება „რიგითი“, შემდგომში, თუ ისინი გამოავლენენ სამხედრო ნიჭსა და თავდადებას, შესაძლებელია მიენიჭოთ სერჟანტის წოდება.

სერჟანტებს, უფროს სერჟანტებს და ზემდეგებს შეიძლება ჩამოუქვეითონ სამხედრო წოდება ან იგი ჩამოართვან ჩადენილი დანაშაულისათვის.

სერჟანტები და ზემდეგები, რომლებმაც გაიარეს სამხედრო მომზადება სასწავლო ნაწილებში ან პრაქტიკულ სამუშაოზე საბჭედრო ნაწილში, დაინიშნებიან საშტატო თანამდებობებზე მიღებული სპეციალობისა და სამხედრო წოდების მიხედვით.

უმცროს მეთაურთათვის დაწესებულია შემდეგი სამხედრო წოდებები: სერჟანტი, უფროსი სერჟანტი, ზემდეგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერჟანტებისა და ზემდეგებისათვის დაშვებულია შემდეგი სათანადო საშტატო ერთეულები:

ათეულის მეთაური — სერჟანტი;

ოცეულის მეთაურის მოადგილე — უფროსი სერჟანტი;

ასეულის ზემდეგი — ზემდეგი.

თანამდებობებზე დანიშვნის უფლება აქვთ:

ათეულის მეთაურის, ოცეულის მეთაურის, ოცეულის მეთაურის მოადგილისა — ცალკე ბატალიონის მეთაურს;

ასეულის ზემდეგებისა — პოლკის მეთაურს.

სავალდებულო სამხედრო სამსახურში მყოფ რიგითებსა და სერჟანტებს ეძლევათ შვებულება:

სამსახურის გავლის პერიოდში ერთხელ — 25 დღით;

ავადმყოფობის გამო;

ოჯახური მდგომარეობის გამო.

სამხედრო მოსამსახურეებს შვებულება ავადმყოფობის გამო ეძლევათ საექიმო კომისიის დასკვნის საფუძველზე.

შვებულება ოჯახური მდგომარეობის გამო შეიძლება მიეცეთ შემდეგ შემთხვევებში:

სამხედრო მოსამსახურის ახლო ნათესავების გარდაცვალების ან მძიმე ავადმყოფობის გამო;

სტიქიური უბედურების შემთხვევაში, რომლის დროსაც დაზარალდა სამხედრო მოსამსახურის ოჯახი.

ოჯახური მდგომარეობის გამო შვებულების მიცემის აუცილებლობა დადასტურებული უნდა იყოს მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ. ასეთ შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურეებს შვებულება ეძლევათ 10 დღის ვადით.

სამხედრო მოსამსახურეებისათვის შვებულების მიცემის უფლება აქვს სამხედრო ნაწილის მეთაურს.

სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც ეძლევათ შვებულება, უფორმდებათ სათანადო საბუთები.

შვებულება შეიძლება გაგრძელდეს 6-8 დღით:

სამხედრო მოსამსახურის ავადმყოფობის გამო;

სტიქიური უბედურების შემთხვევაში, რასაც მოჰყვა ოჯახის წევრების მძიმე ავადმყოფობა ან გარდაცვალება.

შვებულების გაგრძელების საკითხს წყვეტს სამხედრო ნაწილის მეთაური სათანადო შეტყობინების საფუძველზე.

მობილიზაციის გამოცხადების დროს შვებულებაში მყოფი სამხედრო მოსამსახურეები ვალდებული არიან სასწრაფოდ გამოცხადდნენ თავიანთ სამხედრო ნაწილებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სავალდებულო სამხედრო სამსახურში მყოფნი ასრულებენ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით გათვალისწინებულ საქართველოს მოქალაქის ყველა მოვალეობას.

სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის დროს სამხედრო მოსამსახურეები არიან ფულად და სანივთე კმაყოფაზე, რომელიც დაწესებულია საქართველოს მთავრობის მიერ.

საყოველთაო სამხედრო სამსახურში ყოფნის დრო მოქალაქეებს ჩაეთვლებათ საერთო სამუშაო სტაჟად.

სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულთ ენახებათ საცხოვრებელი ფართი და ისინი არ იხსნებიან საბინაპირობებგასაუმჯობესებელთა სიიდან.

სამხედრო მოსამსახურეები ჩადენილი დანაშაულის გამო შეიძლება მიცემულ იქნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

სამხედრო დისციპლინის დარღვევისათვის სამხედრო მოსამსახურე პასუხს აგებს წესდების თანახმად.

სამხედრო მოსამსახურეები, რომლებმაც მოიხადეს კანონით დადგენილი სავალდებულო სამხედრო სამსახური, დათხოვნილი იქნებიან სამხედრო სამსახურიდან თადარიგში.

სამხედრო მოსამსახურეებს სამხედრო სამსახურიდან თადარიგში ითხოვს სამხედრო ნაწილის მეთაური თანახმად საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის მთავარსარდლის ბრძანებისა, რომელიც მიღებულია მთავრობის დადგენილების საფუძველზე.

სავალდებულო სამხედრო სამსახურში მყოფი სამხედრო მოსამსახურენი შეიძლება ვადამდე დაითხოვონ:

ავადმყოფობის გამო, თუ სამხედრო სექციმო კომისიების დასკვნით ისინი ცნეს სამხედრო სამსახურისათვის გამოუსადგერად;

ოჯახური მდგომარეობის გამო, თუ სამხედრო სამსახურის მოხდის პერიოდში მათი ოჯახური მდგომარეობა შეიცვალა.

სამხედრო მოსამსახურეები, რომლებმაც დაამთავრეს სავალდებულო სამხედრო სამსახური და გამოთქვეს სურვილი გააგრძელონ სამხედრო სამსახური, შეიძლება მიღებულ იქნენ სურვილისაებრ ზევადიან სამსახურში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

313 საქართველოს რესპუბლიკაში საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საარბიტრაჟო სასამართლო

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად საარბიტრაჟო სასამართლო ახორციელებს სამართალგამოყენებით საქმიანობას, განიხილავს ეკონომიკური ხასიათის დავას თავისი უფლებამოსილების ფარგლებში.

მუხლი 2. საარბიტრაჟო სასამართლოს ამოცანები

საარბიტრაჟო სასამართლოს ძირითადი ამოცანებია:

ეკონომიკური ურთიერთობების მონაწილეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, მათი საკუთრების ფორმების მიუხედავად;

ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში დავის გამომწვევი მიზეზების დადგენა და მათი თავიდან აცილება.

საარბიტრაჟო სასამართლომდე დავის მოგვარების წესის დაცვის უზრუნველყოფა.

საარბიტრაჟო სასამართლო თავისი საქმიანობით ხელს უნდა უწყობდეს ეკონომიკურ ურთიერთობაში კანონიერების დაცვას, საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებას.

მუხლი 3. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ

საარბიტრაჟო სასამართლოს ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს საქართველოს რესპუბლიკაში განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, ეს კანონი, საქართველოს რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლო წარმოების კოდექსი და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები.

საარბიტრაჟო სასამართლოს საქმიანობა და მისი უფლებამოსილება განისაზღვრება აგრეთვე იმ ხელშეწიფოთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, რომლებშიც ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკა.

საქართველოს რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოს კანონით დადგენილ შემთხვევებში შეუძლია გამოიყენოს როგორც სსრ კავშირის, ასევე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობაც, თუ ის საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას არ ეწინააღმდეგება.

საარბიტრაჟო სასამართლოები თავიანთ საქმიანობაში უზრუნველყოფენ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის და საქართველოს რესპუბლიკის კანონების უზენაესობას.

მუხლი 4. საარბიტრაჟო სასამართლოს საქმიანობის პრინციპები

საარბიტრაჟო სასამართლოს საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

საარბიტრაჟო სასამართლოში საქმის განხილვა კანონის შესაბამისად;

არბიტრირება;

საარბიტრაჟო სასამართლოში საქმეების საჯაროდ განხილვა, კანონით დადგენილი გამონაკლისების გარდა;

საარბიტრაჟო სასამართლოს წევრთა დამოუკიდებლობა და მათი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება;

დავის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანისას მხარეთა წარმომადგენლების მონაწილეობა;

ეკონომიკური ურთიერთობის მონაწილე სუბიექტთა თანასწორობა კანონისა და საარბიტრაჟო სასამართლოს წინაშე, მიუხედავად საკუთრების ფორმისა.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საარბიტრაჟო სასამართლო წარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე, ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე;

საარბიტრაჟო სასამართლოში ეკონომიკური ხასიათის დავის განხილვაში სახელმწიფო და სხვა ორგანოს ან თანამდებობის პირთა ჩარევა დაუშვებელია.

მუხლი 5. საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვა ზედამხედველობის წესით

საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე შეიძლება გადაისინჯოს ზედამხედველობის წესით დავის მონაწილე ერთ-ერთი მხარის განცხადების საფუძველზე, პროკურორის პროტესტით ან საარბიტრაჟო სასამართლოს ინიციატივით.

II. საარბიტრაჟო სასამართლოს სისტემა

მუხლი 6. საარბიტრაჟო სასამართლოს სისტემა

საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედებს საარბიტრაჟო სასამართლო ორგანოთა ერთიანი სისტემა:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო;

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლო;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლო;

ქ. თბილისის საარბიტრაჟო სასამართლო;

ქ. ქუთაისის საარბიტრაჟო სასამართლო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საჭიროებისამებრ ქმნის სხვა საარბიტრაჟო სასამართლოებს.

მუხლი 7. საარბიტრაჟო სასამართლოს ხელმძღვანელობა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლო ორგანოა. იგი ხელმძღვანელობს საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის ყველა საარბიტრაჟო სასამართლოს საქმიანობას კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო სისტემატურად ამოწმებს ქვემდგომი საარბიტრაჟო სასამართლოების საქმიანობას და ისმენს მათ ანგარიშს, სწავლობს, განაზოგადებს და ავრცელებს საარბიტრაჟო სასამართლოების გამოცდილებას.

საარბიტრაჟო სასამართლოები მათი უფლებამოსილების ვადაში პერიოდულად წარუდგენენ ანგარიშს თავიანთი საქმიანობის შესახებ ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს.

მუხლი 8. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს შემადგენლობა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო შედგება თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის, ორი მოადგილის, საარბიტრაჟო სასამართლოს წევრებისაგან და მოქმედებს შემდეგი შემადგენლობით:

უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდიუმი;

ეკონომიკური დავის განხილვის კოლეგია;

საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ გამოტანილი დადგენილებების (გადაწყვეტილებების, განჩინებების) კანონიერებაზე ზედამხედველობის კოლეგია.

უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

მუხლი 9. საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების არჩევის (დანიშვნის) წესი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარეს ირჩევს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს და მოადგილეებს ირჩევს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოების თავმჯდომარეებს ირჩევენ შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

ქ. თბილისის და ქ. ქუთაისის საარბიტრაჟო სასამართლოების თავმჯდომარეებს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარედ და მის მოადგილეებად შეიძლება არჩეულ (დანიშნულ) იქნენ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები, რომლებსაც შეუსრულდათ შესაბამისად 35 და 30 წელი, იციან ქართული ენა, აქვთ უმაღლესი იურიდიული განათლება და, როგორც წესი, სპეციალობით მუშაობის 3 წლის სტაჟი.

მუხლი 10. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო სარგებლობს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში.

მუხლი 11. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია:

შევიდეს პროტესტით საარბიტრაჟო სასამართლო საქმეზე გამოტანილი დადგენილებების (გადაწყვეტილებების, განჩინებების) გაუქმების ან შეცვლის შესახებ;

შეაჩეროს საარბიტრაჟო სასამართლო საქმეზე დადგენილების აღსრულება;

მოიწვიოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდიუმი და შეიტანოს საკითხები განსახილველად; თავმჯდომარეობდეს პრეზიდიუმის სხდომებს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს კოლეგიათა სხდომებს;

უხელმძღვანელოს საარბიტრაჟო სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებას, საარბიტრაჟო სასამართლო სტატისტიკის ანალიზს; გაუგზავნოს წარდგინებები სახელმწიფო ორგანოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და თანამდებობის პირებს კანონის დარღვევის, სასამართლო დარღვევათა ჩადენის ხელშემწყობი და გამომწვევი მიზეზებისა და პირობების თავიდან აცილების შესახებ;

ანგარიში წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს საქართველოს რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოების საქმიანობის შესახებ;

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში შეიტანოს წარდგინებები იმ საკითხებზე, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის კანონის განმარტებას მოითხოვენ;

გაანაწილოს მოვალეობები საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებს შორის;

უხელმძღვანელოს საარბიტრაჟო სასამართლო კოლეგიათა მუშაობის ორგანიზაციას და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს აპარატის მუშაობას;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განახორციელოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

მუხლი 12. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეების უფლებამოსილება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები უფლებამოსილი არიან:

თავმჯდომარეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს კოლეგიათა სხდომებს;

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში პროტესტით შევიდნენ საარბიტრაჟო სასამართლო საქმეებზე გამოტანილი დადგენილებების (გადაწყვეტილებების, განჩინებების) გაუქმების ან შეცვლის შესახებ;

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით შეაჩერონ საარბიტრაჟო სასამართლო საქმეებზე დადგენილებების აღსრულება;

მოვალეობათა განაწილების შესაბამისად უხელმძღვანელონ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს კოლეგიათა და აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაობას;

განახორციელონ კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას ახორციელებს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ხოლო პირველი მოადგილის არყოფნის შემთხვევაში — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

მუხლი 13. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდიუმი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდიუმი იქმნება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოების თავმჯდომარეების, ქ. თბილისის და ქ. ქუთაისის საარბიტრაჟო სასამართლოების თავმჯდომარეების და უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს წევრების შემადგენლობით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის მოწვევით პრეზიდიუმის სხდომებში მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ: საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის ორგანოების წარმომადგენლებმა, სამართალდამცველი ორგანოების ხელმძღვანელებმა, სამინისტროების, დეპარტამენტების, უწყებების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პრეზიდიუმის წევრთა ორი მესამედი.

პრეზიდიუმი დადგენილებას იღებს ღია კენჭისყრით, კენჭისყრაში მონაწილე პრეზიდიუმის წევრთა ხმების უმრავლესობით და მას ხელს აწერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე.

მუხლი 14. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდიუმის უფლებამოსილება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდიუმი უფლებამოსილია:

განიხილოს საარბიტრაჟო სასამართლო პრაქტიკისა და საარბიტრაჟო სასამართლო სტატისტიკის შესწავლის შედეგები და განზოგადების მასალები;

თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მისცეს საარბიტრაჟო სასამართლოებს სახელმძღვანელო განმარტებები საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის გამოყენების საკითხებზე;

მოისმინოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოების, ქ. თბილისის და ქ. ქუთაისის საარბიტრაჟო სასამართლოების თავმჯდომარეთა ინფორმაციები;

აირჩიოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს წევრებიდან საარბიტრაჟო სასამართლო კოლეგიათა შემადგენლობები და პრეზიდიუმის მდივანი;

დაამტკიცოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საარბიტრაჟო სასამართლოსთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო;

მოისმინოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს კოლეგიათა თავმჯდომარეების ანგარიშები მათი საქმიანობის თაობაზე;

თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილოს საქმეები ზედამხედველობის წესით;

გახორციელოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

მუხლი 15. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს კოლეგიათა უფლებამოსილება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს კოლეგიები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავენ საქმეებს პირველი ინსტანციით, ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

კოლეგიები შეისწავლიან და განაზოგადებენ საარბიტრაჟო სასამართლო პრაქტიკას, აანალიზებენ საარბიტრაჟო სასამართლო სტატისტიკას და ახორციელებენ კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 16. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს კოლეგიების თავმჯდომარეების უფლებამოსილება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს კოლეგიათა თავმჯდომარეები უფლებამოსილი არიან:

შექმნან საარბიტრაჟო სასამართლო კოლეგიების შემადგენლობები საქმეთა განსახილველად;

უხელმძღვანელონ შესაბამის კოლეგიათა მუშაობას;

თავმჯდომარეობა გაუწიონ საარბიტრაჟო სასამართლო სხდომებს იმ კოლეგიებში, რომლებსაც ხელმძღვანელობენ;

წარუდგინონ ანგარიშები საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდიუმს თავიანთი საქმიანობის შესახებ;

გამოითხოვონ საარბიტრაჟო სასამართლო საქმეები შესწავლა-განზოგადებისათვის;

ორგანიზაცია გაუწიონ კოლეგიებში შემავალ საარბიტრაჟო სასამართლოს წევრთა კვალიფიკაციის ამაღლებას;

განახორციელონ კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

მუხლი 17. საარბიტრაჟო სასამართლოს წევრი

საარბიტრაჟო სასამართლოს წევრი კანონით დადგენილი წესით იხილავს ეკონომიკური ხასიათის დავას, ამოწმებს საარბიტრაჟო სასამართლოს დადგენილებათა შესრულებას, საქმეზე დადგენილების მიღებისას უზრუნველყოფს მხარეთა დარღვეული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების აღდგენას, თავის საქმიანობას წარმართავს ეკონომიკის სფეროში კანონიერების დარღვევათა თავიდან ასაცილებლად, დავის განხილვისას შეისწავლის და განაზოგადებს კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, მონაწილეობს კანონმდებლობის სრულყოფისათვის შემოსულ წინადადებათა განხილვაში და ეწევა სამართლებრივ პროპაგანდას.

საარბიტრაჟო სასამართლოს წევრს უფლებამოსილება შეიძლება ვადამდე ჩამოართვას მხოლოდ მისმა ამრჩევმა (დამნიშნავმა) ორგანომ კანონის უხეში დარღვევის ან სახელის გამტეხი საქციელის ჩადენისათვის, რომელიც შეუთავსებელია მის მაღალ წოდებასთან, აგრეთვე მის მიმართ ძალაში შესული სასამართლოს კანონიერი გამამტყუნებელი განაჩენის გამო.

საარბიტრაჟო სასამართლოს წევრი შეიძლება მიეცეს დისციპლინურ პასუხისგებაში. დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის წესს განსაზღვრავს დებულება საარბიტრაჟო სასამართლოს წევრის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს წევრებს ირჩევს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების საარბიტრაჟო სასამართლოთა წევრებს ირჩევენ შესაბამისად აფხაზეთის ასს რესპუბლიკისა და აჭარის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოები საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

ქ. თბილისის და ქ. ქუთაისის საარბიტრაჟო სასამართლოს წევრებს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

ყველა საარბიტრაჟო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადაა ხუთი წელი.

საქართველოს რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოს წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს (დაინიშნოს) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 25 წელი, იცის ქართული ენა, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის, როგორც წესი, 3 წლის სტაჟი.

საარბიტრაჟო სასამართლოს წევრს უფლება აქვს:

მოსთხოვოს საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს და თანამდებობის პირებს ინფორმაციის, ცნობების, საბუთების და დასკვნების წარდგენა, რომლებიც საჭიროა დავის გადასაწყვეტად;

შეიტანოს საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში მათი საკუთრების ფორმების მიუხედავად წარდგინებანი კანონის დარღვევების ფაქტებზე და მათი გამომწვევი და ხელშემწყობი მიზეზების აღმოფხვრის შესახებ.

სახელმწიფო ორგანოები, კოოპერატივები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, თანამდებობის პირები ვალდებული არიან შეასრულონ საარბიტრაჟო სასამართლოს ის მითითებები, რომლებიც დაკავშირებულია საქმის განხილვისა და საარბიტრაჟო სასამართლოს დადგენილებათა აღსრულებასთან.

III. ეკონომიკური ხასიათის დავის განხილვა

მუხლი 18. საარბიტრაჟო სასამართლოს უფლებამოსილება ეკონომიკური დავის განხილვისას

საარბიტრაჟო სასამართლო იხილავს ეკონომიკური ხასიათის დავას საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის, რომლებიც არიან იურიდიული პირები მათი უწყებრივი დაქვემდებარების, საკუთრების ფორმის და სადაო თანხის ოდენობის მიუხედავად. მათ შორის:

ხელშეკრულებების დადების, შეცვლის, შესრულების, მოშლის ან სხვა საფუძველზე წამოჭრილ დავას;

ქონებრივი ხასიათის დავას;

დავას სახელმწიფო და სხვა ორგანოების და თანამდებობის პირების მიერ მიღებული იმ აქტების ბათილად ცნობის შესახებ, რომლებიც ლახავენ ადგილობრივი მმართველობის, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ქონებრივ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

საარბიტრაჟო სასამართლო კანონიერების დარღვევის გამოვლენისას უფლებამოსილია აღძრას საქმე თავისი ინიციატივით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 19. ეკონომიკური ხასიათის დავის განხილვის წესი

საარბიტრაჟო სასამართლო ეკონომიკურ დავას განიხილავს საარბიტრაჟო სასამართლოს ერთი ან სამი წევრის შემადგენლობით და მხარეთა წარმომადგენლებთან ერთად. კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში დაშვებულია საქმის განხილვა მოდავე მხარეების დაუსწრებლად.

მუხლი 20. საარბიტრაჟო სასამართლო დაცვისათვის მიმართვის უფლება

ყოველ დაინტერესებულ იურიდიულ პირს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით მიმართოს საარბიტრაჟო სასამართლოს დარღვეული ან სადავო ქონებრივი უფლების ან კანონიერი ინტერესების დასაცავად.

საარბიტრაჟო სასამართლო საქმეს განიხილავს:

იმ საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების განცხადებით, რომელიც მიმართავს თავისი უფლებების ან კანონიერი ინტერესების დასაცავად;

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების განცხადებით;

პროკურორის განცხადებით.

IV. საარბიტრაჟო სასამართლოს საქმიანობა კანონიერების დარღვევების პროფილაქტიკისა და კანონმდებლობის სრულყოფის სფეროში

მუხლი 21. საარბიტრაჟო სასამართლოს უფლებამოსილება კანონიერების დარღვევის თავიდან აცილების სფეროში

საარბიტრაჟო სასამართლო ახორციელებს საქმიანობას ეკონომიკურ ურთიერთობებში კანონიერების დარღვევის თავიდან აცილებისათვის.

ამ მხრივ საარბიტრაჟო სასამართლო უფლებამოსილია:

გააანალიზოს არსებული მასალები ეკონომიკურ ურთიერთობებში კანონიერების დარღვევის გამომწვევი მიზეზების შესახებ, შეიმუშაოს წინადადებები მათი აღმოფხვრისა და თავიდან აცილების მიზნით;

განიხილოს გამსვლელ სხდომაზე ეკონომიკური ხასიათის დავა, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს;

აწარმოოს კანონმდებლობის პროპაგანდა;

მიმართოს წარდგინებით შესაბამის ორგანოებს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და კანონიერების ვანმტკიცების მიზნით.

თანამდებობის პირები ვალდებული არიან წარდგინების მიღებიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში აცნობონ პასუხი შესაბამის საარბიტრაჟო სასამართლოს მის მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ.

მუხლი 22. წიხადადებების შემუშავება კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით

საარბიტრაჟო სასამართლო ორგანოები კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე შეიმუშავებენ და დადგენილი წესით

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარადგენენ წინადადებებს ეკონომიკური ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირებისა და საარბიტრაჟო სასამართლოს საქმიანობის სრულყოფისათვის.

V. საქართველოს რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოების საქმიანობის ორგანიზაციის სხვა საკითხები

მუხლი 23. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო

საარბიტრაჟო სასამართლოს ორგანიზაციისა და საქმიანობის საკითხებზე მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შესამუშავებლად საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საარბიტრაჟო სასამართლოსთან იქმნება სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო მეცნიერთა და მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა შემადგენლობით.

სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდიუმი. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი გახისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე.

მუხლი 24. საქართველოს რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოების აპარატის სტრუქტურა და შტატები.

საარბიტრაჟო სასამართლო პრაქტიკის შესწავლის, განზოგადებისა და საარბიტრაჟო სასამართლო სტატისტიკის ანალიზის, კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და პროპაგანდისათვის, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ფუნქციათა შესასრულებლად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს აპარატის შემადგენლობაში იქმნება განყოფილებები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს აპარატის სტრუქტურასა და შტატების რაოდენობას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს საშტატო განრიგს, განყოფილებათა და სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფთა დებულებებს ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე.

მუხლი 25. საერთაშორისო კავშირები

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო დადგენილი წესით ამყარებს საერთაშორისო კავშირებს იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც იხილავენ ეკონომიკური ხასათის დავებს.

მუხლი 26. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს უწყებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო გამოსცემს „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს უწყებებს“.

მუხლი 27. საქართველოს რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოების ბეჭედი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საარბიტრაჟო სასამართლოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოებს, ქ. თბილისის და ქ. ქუთაისის საარბიტრაჟო სასამართლოებს აქვთ ბეჭედი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და თავისი სახელწოდებით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 23 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

314 „საქართველოს რესპუბლიკაში საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. „საქართველოს რესპუბლიკაში საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს გამოქვეყნებისთანავე.

2. გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებში, უწყებებში, დეპარტამენტებსა და ორგანიზაციებში არსებული საუწყებო არბიტრაჟები.

3. განისაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს შემადგენლობა უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარით, მისი პირველი მოადგილით, ორი მოადგილით და უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს ოცდახუთი წევრით.

4. შეიქმნას ქ. თბილისის და ქ. ქუთაისის საარბიტრაჟო სასამართლოები.

5. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ:

საქართველოს რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლო ორგანოების დაფინანსების საკითხები გადაწყვიტოს ერთი თვის ვადაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოსათვის იმ საშტატო ერთეულთა გადაცემა, რომლებიც გამოთავისუფლდებიან სამინისტროებში, უწყებებში, დეპარტამენტებსა და ორგანიზაციებში საუწყებო არბიტრაჟების გაუქმების შედეგად;

შეუსაბამოს „საქართველოს რესპუბლიკაში საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ“ კანონს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მოქმედი დადგენილებები და განკარგულებები.

6. წინადადება მიეცეთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოებს შეუსაბამონ ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა „საქართველოს რესპუბლიკაში საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ“ კანონს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 23 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

315 საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 92-ე მუხლში სიტყვები „მართლმსაჯულების ორგანოებში არჩეული პირები, საქართველოს რესპუბლიკის, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო არბიტრები და სახელმწიფო არბიტრები“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის მართლმსაჯულების ორგანოებისა და საარბიტრაჟო სასამართლოების შემადგენლობაში არჩეული (დანიშნული) პირები“.

2. 104-ე მუხლის მე-19 და მე-20 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„19) ირჩევს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საარბიტრაჟო სასამართლოს, ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

20) ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიას, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმსა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდიუმს".

3. 110-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის მთავარ სახელმწიფო არბიტრს" შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საარბიტრაჟო სასამართლოს".

4. 117-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟის და პროკურატურის კოლეგიების" შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოსა და უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდიუმების, საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიის".

5. 121^4-ე მუხლის მე-7 პუნქტში სიტყვები „მთავარი სახელმწიფო არბიტრის" შეიცვალოს სიტყვებით „უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის".

6. 175-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

7. IX კარის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მართლმსაჯულება, საარბიტრაჟო სასამართლო და საპროკურორო ზედამხედველობა".

8. 21-ე თავის დასახელებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „და არბიტრაჟი".

9. IX კარს დაემატოს შემდეგი შინაარსის 21^1 ახალი თავი:

„თ ა ვ ი 21^1

საარბიტრაჟო სასამართლო

მუხლი 175^1. საარბიტრაჟო სასამართლოები ახორციელებენ სამართალგამოყენებით საქმიანობას, განიხილავენ ეკონომიკური ხასიათის დავას თავისი უფლებამოსილების ფარგლებში.

მუხლი 175^2. საარბიტრაჟო სასამართლოს საქმიანობის ძირითადი პრინციპებია: საქმის განხილვა საარბიტრაჟო სასამართლოში კანონის ზუსტი შესაბამისობით; ეკონომიკური ხასიათის დავის განხილვა-გადაწყვეტა არბიტრირების საწყისებზე; საქმეების საჯაროდ განხილვა კანონით დადგენილი გამონაკლისების გარდა; ეკონომიკურ ურთიერთობათა მონაწილე სუბიექტების თანასწორობა კანონისა და საარბიტრაჟო სასამართლოს წინაშე მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმისა.

მუხლი 175^3. საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები და წევრები საარბიტრაჟო სასამართლო საქმიანობისას დამოუკიდებელი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს. მათთვის უზრუნველყოფილია კანონით ძინიჭებულ უფლება-მოვალეობათა შეუფერხებელი განხორციელების **პირობები.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საარბიტრაჟო სასამართლოში ეკონომიკური დავის განხილვისას ყოველგვარი ჩარევა დაუშვებელია.

მუხლი 175[4]. საქართველოს რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოებია: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოები, ქ. თბილისისა და ქ. ქუთაისის საარბიტრაჟო სასამართლოები.

საქართველოს რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოების ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკაში საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ“ და საქართველოს რესპუბლიკის სხვა კანონები.

მუხლი 175[5]. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლო ორგანოა და ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოების საქმიანობას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო შედგება თავმჯდომარის, მისი მოადგილეებისა და წევრებისაგან.

მუხლი 175[6]. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარეს, მის მოადგილეებსა და საარბიტრაჟო სასამართლოს წევრებს ირჩევს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ხუთი წლის ვადით.

ავტონომიური რესპუბლიკების საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარეებს, მათ მოადგილეებსა და საარბიტრაჟო სასამართლოს წევრებს ირჩევენ შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები ხუთი წლის ვადით.

ქალაქების საარბიტრაჟო სასამართლოების თავმჯდომარეებს, მათ მოადგილეებს და საარბიტრაჟო სასამართლოების წევრებს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ხუთი წლის ვადით“.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 23 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

316 ქ. შ. ბენდელიანის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარედ არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს ევტიხი შალვას ძე **ბენდელიანი** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარედ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 23 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

317 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გ. გ. გუმბარიძის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 27 დეკემბრის კანონის მეხუთე მუხლის შესაბამისად ვადამდე შეწყდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გივი გრიგოლის ძე გუმბარიძის სადეპუტატო უფლებამოსილება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 23 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(27 აპრილის საგანგებო სხდომა)

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

318 **უზენაესი საბჭოს წევრების მ. ძოძუაშვილისა და თ. გუგუშვილის სადეპუტატო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 27 დეკემბრის კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად ვადამდე შეწყდეს უზენაესი საბჭოს წევრების მანანა გრიგოლის ასულ **ძოძუაშვილისა** და თამაზ ვალერიანის ძე **გუგუშვილის** სადეპუტატო უფლებამოსილება, რადგან ისინი დანიშნულები არიან მინისტრებად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 27 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

319 **ცხინვალისა და ყორნისის რაიონების გაუქმების შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. გაუქმდეს ცხინვალის რაიონი და მისი ტერიტორია შეუერთდეს გორის რაიონს.

2. გაუქმდეს ყორნისის რაიონი და მისი ტერიტორია შეუერთდეს ქარელის რაიონს.

3. ამოღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 71-ე მუხლიდან სიტყვები „ყორნისის“ და „ცხინვალის“.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 27 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

320 ჯავის რაიონიდან სინაგურის, კიროვისა და ჩასავლის სასოფლო საბჭოების გამოყოფის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

გამოეყოს ჯავის რაიონს და გადაეცეს:

— საჩხერის რაიონს სინაგურის სასოფლო საბჭო (20,4 ათასი ჰექტარი მიწა);

— ონის რაიონს კიროვისა და ჩასავლის სასოფლო საბჭოები (3,6 ათასი ჰექტარი მიწა).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 27 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

321 „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 18 აგვისტოს კანონის მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შეუთავსებლობა თანამდებობრივ მდგომარეობასთან

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, ის პირნი, რომლებიც შედიან საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოების შემადგენლობაში, გარდა მათი თავმჯდომარეებისა, მათი მოადგილეები, საქართველოს რესპუბლიკის, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მმართველობის სხვა რესპუბლიკურ ორგანოთა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, პირნი, რომლებიც შედიან საკრებულოების აღმასრულებელი ორგანოების შემადგენლობაში, გარდა გამგეობის თავმჯდომარისა (გამგებლისა), პრეფექტურის, მისი უწყებების, სამსახურების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეფექტის გამოკლებით, მართლმსაჯულების ორგანოებსა და საარბიტრაჟო სასამართლოებში არჩეული (დანიშნული) პირები, საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი, მისი მოადგილეები, ქვემდგომი პროკურორები და მათი მოადგილეები, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარე და წევრები არ შეიძლება იმავდროულად იყვნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრები".

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 27 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

322 საცალო ფასების რეფორმასთან დაკავშირებით ბავშვებიანი ოჯახებისათვის კომპენსაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

საცალო ფასების გადიდებასთან დაკავშირებით ბავშვიან ოჯახებს 16 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის (მოსწავლეებისათვის, რომლებიც არ იღებენ სტიპენდიებს — 18 წლამდე), რომლებიც არ იღებენ დახმარებებსა და პენსიებს სოციალური უზრუნველყოფის მოქმედი სისტემით, აგრეთვე არასრულწლოვან ბავშვიან ოჯახებს საბავშვო ასორტიმენტის საქონლის არსებით გაძვირებასთან დაკავშირებით დადგენილი კომპენსაციები მიეცემათ ოჯახის საერთო შემოსავლის მიუხედავად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 27 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

323 საქართველოს რესპუბლიკის სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

რესპუბლიკის საზოგადოებრივი მეურნეობები (ყოფილი კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები), სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოები მოელი რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფებიან. მათზე ირიცხება მარტო ბახკის ვადაგადაცილებული 800 მილიონ მანეთზე მეტი სესხი, რომლის დაფარვის რეალური შესაძლებლობა არ გააჩნიათ.

საქართველოს რესპუბლიკის სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

I. ნაწილობრივ შეიცვალოს საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 27 დეკემბრის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ და:

1. გათავისუფლდნენ 1991 წელს საქართველოს რესპუბლიკის სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სისტემის საზოგადოებრივი მეურნეობები (ყოფილი კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები), სამეურნეობათშორისო სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები, კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოები და ორგანიზაციები:

ა) ძოგების (ეკოხომიის) ბიუჯეტში გადასახადისაგან, რომელიც მიიღება სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ანარიცხების ტარიფების 11 პროცენტით შემცირებით (37 პროცენტის ნაცვლად დადგინდეს 26 პროცენტი);

ბ) ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის გამიზნული საამორტიზაციო ანარიცხების 20 პროცენტის ბიუჯეტში გადასახადისაგან.

2. გახესაზღვროთ 1991 წელს საქართველოს რესპუბლიკის სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სისტემის საზოგადოებრივ მეურნეობებს (ყოფილ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს) სამეურნეობათშორისო სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს, კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოებსა და ორგანიზაციებს მიმდინარე წლის დასაწყისისათვის რიცხული ეკონომიკური სტიმულირების ფონდების ნაშთის ბიუჯეტში შენატანები 30 პროცენტის ოდენობით ნაცვლად 50 პროცენტისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ამ დადგენილების პირველ და მეორე პუნქტებში აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შედეგად რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლების შემცირების თანხით გაიზარდოს ამ ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრული ოდენობა.

II. სსრ კავშირის აგროსამრეწველო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის გამგეობამ 10 დღის ვადაში წარმოადგინოს საზოგადოებრივი მეურნეობების (ყოფილი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების), მატერიალური დოვლათის მწარმოებელი სამეურნეობათშორისო ორგანიზაციების, კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოების სია და მათზე რიცხული ბანკის ვადაგადაცილებული და განვადებული სესხების დავალიანება 1991 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, რაც უნდა ჩამოიწეროს და მიეკუთვნოს რესპუბლიკის შიდა ვალს.

III. საქართველოს რესპუბლიკის სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ჩაბარებულ სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასთა სხვაობის ანაზღაურება მიმდინარე წლის 1 აპრილამდე განხორციელდეს 1990 წელს მოქმედი წესით.

IV. სსრ კავშირის აგრომრეწვბანკისა და ბინსოცბანკის საქართველოს რესპუბლიკის ბანკებში მიმდინარე წლის 1 აპრილისათვის რიცხული სოფლის მეურეობის პროდუქტებზე ანაზღაურებული ფასთა სხვაობის დავალიანება დაეწეროს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს № 803 ანგარიშზე რესპუბლიკის შიდა ვალის სახით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 27 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

324 მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროების დაქვემდებარებაში გადაცემისა და ამასთან დაკავშირებით ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ

მოსახლეობის სამართლებრივი მომსახურების გაუმჯობესების, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციისას კანონიერების ზუსტი და განუხრელი დაცვის, მუშაობის ორგანიზაციის სრულყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დაექვემდებაროს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი განყოფილებები, ქორწინების სასახლეები და მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი არქივები საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროებს და შესაბამისად ეწოდოს საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროების მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის რაიონული (საქალაქო), ქალაქის რაიონული განყოფილებები და მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის არქივები.

2. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ამ კანონის საფუძველზე განახორციელოს სათანადო ღონისძიებანი.

3. საქართველოს სსრ 1970 წლის 18 ივნისის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1970 წ., № 6 მუხ. 96):

ა) კოდექსის დასახელებასა და ტექსტში სიტყვები „საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსი“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის საქორწინო და საოჯახო კოდექსი“;

ბ) კოდექსის ტექსტში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოები“, „მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი სახელმწიფო ორგანოები (მმაჩი)“, „მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოები“ შესაბამისად შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროების მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის რაიონული (საქალაქო), ქალაქის რაიონული განყოფილებები“, „მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის სახელმწიფო ორგანოები“, „მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოები“;

გ) მე-16 მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მიერ“, შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროების მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის რაიონული (საქალაქო), ქალაქის რაიონული განყოფილების გამგის მიერ“;

დ) 161-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 161. მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოები

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერა ხდება საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროების მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის რაიონულ (საქალაქო), ქალაქის რაიონულ განყოფილებებში, ხოლო სოფლებსა და დაბებში — სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებში“;

ე) 162-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დაბადების, დაქორწინების, მამობის დადგენისა და გარდაცვალების რე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გისტრაციას სოფლებსა და დაბებში ახდენენ სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები".

4. საქართველოს სსრ 1964 წლის 26 დეკემბრის კანონით დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1964 წ., № 36, მუხ. 662) 256-ე მუხლის მეორე ნაწილის მე-4 და მე-8 პუნქტებში, 260-ე, 265-ე, 283-ე მუხლების მეორე ნაწილებში, 284-ე და 285-ე მუხლებში სიტყვები „მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოები" შეიცვალოს სიტყვებით „მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოები".

5. ეს კანონი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 27 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

325 პ. გ. გველესიანის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს პაატა გიორგის ძე **გველესიანი** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 27 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

326 ტ. ვ. ზამბახიძის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს ტარიელ ვახტანგის ძე **ზამბახიძე** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 27 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

სხდომებზე მიღებული

მიმართვები

327 მიმართვა მსოფლიოს ხალხებისადმი

1991 წლის 31 მარტს საქართველოს რესპუბლიკაში ჩატარდა საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმი, რომლის დროსაც მოსახლეობამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის“ საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი და ამით გამოხატა საქართველოს მოსახლეობის ნება.

სსრ კავშირის ხელმძღვანელობამ არაერთხელ გამოიყენა სამხედრო ძალა თავისუფლებისათვის მშვიდობიანი გზით მებრძოლი ქართველი ხალხის წინააღმდეგ, რისი ერთ-ერთი დამადასტურებელიცაა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ამ დღეს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით მოშიმშილე ახალგაზრდობის წინააღმდეგ საბჭოთა ჯარის ნაწილებმა განახორციელეს ბარბაროსული აქცია. ქიმიური იარაღის და სასანგრე ნიჩბების გამოყენების შედეგად დაიღუპა ათობით ადამიანი, მათ შორის მრავალი ქალი, მოწამლულია ათასობით ადამიანი, რომელთა სიცოცხლე დღესაც საფრთხეშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას შემდეგ, რაც 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნების შედეგად საქართველოში დაემხო კომუნისტური რეჟიმი, კრემლმა აშკარა ბრძოლა გამოუცხადა ქართველ ერს, რაც გამოიხატა ხელოვნურად ინსპირირებული ეთნოკონფლიქტების გაღვივებაში, ეკონომიკურ ბლოკადაში თუ საქართველოს შესახებ დეზინფორმაციის გავრცელებაში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მიმართავს მსოფლიოს ხალხებს, ყველა კეთილი ნების ადამიანს, მხარი დაუჭირონ თავისუფლების, დემოკრატიისა და სამართლიანობის იდეალებისათვის მებრძოლი ხალხის ნებას, არ დაუშვან მის წინააღმდეგ ძალის გამოყენება და ხელი შეუწყონ საქართველოს რესპუბლიკის ცნობას და დამკვიდრებას დემოკრატიულ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 9 აპრილი.

328 საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს მ. გორბაჩოვს

თქვენო აღმატებულებავ ბატონო პრეზიდენტო!

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის ნებას, ადგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, რაც თავის დროზე ცნო საბჭოთა რუსეთმა.

ვითვალისწინებთ რა თქვენს პირად წვლილს მსოფლიოში და განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპაში ბოლო წლებში მომხდარ სასიკეთო ცვლილებებში, აგრეთვე თქვენს მიერ არაერთგზის განცხადებულ კეთილგანწყობილებას ქართველი ხალხის მიმართ, იმედს გამოვთქვამთ, რომ ბოლომდე ერთგული იქნებით დემოკრატიული პრინციპებისა და საქართველოს აღიარებთ დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ.

ჩვენის მხრივ ვაცხადებთ, რომ მზად ვართ ახალ პრინციპებზე დაყრდნობით ვაწარმოოთ და კიდევ უფრო განვავითაროთ ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობანი, როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირთან, ასევე მის შემადგენლობაში მყოფ ცალკეულ რესპუბლიკებთან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 9 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

329 სრულიად საქართველოს

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ აღადგინა ქართველი ხალხის ნება და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით საქართველო სუვერენულ სახელმწიფოდ გამოაცხადა.

1991 წლის 31 მარტს ჩატარებულმა რეფერენდუმმა ცხადყო, რომ ქართველი ერი სრულად მზად იყო ამ ნაბიჯის გადასადგმელად და რაოდენ სასიხარულოა, რომ ჩვენი სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვანი დრამატული ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე გადამწყვეტ ფაზაში ქართველი ხალხის გვერდით დადგა მთელი საქართველოს არაქართველი მოსახლეობა, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა კომუნისტური მმართველობის პერიოდში იმპერიული ხელისუფლების მიერ ფართოდ დეკლარირებული ქართველი ხალხის ეროვნული შეუწყნარებლობის მითის უსაფუძვლობა.

სახელმწიფოებრიობის აღდგენის იურიდიულ გამოცხადებას უნდა მოჰყვეს ფაქტიური აღდგინება, რომელიც არ შეიძლება ეროჯერადი აქტის შედეგი იყოს. სახელმწიფოს, მისი ხალხის პოლიტიკური აზროვნების კულტურა, შემოქმედებითი პოტენციალი თუ სულიერი ერთიანობა ცალსახად განსაზღვრავს ამ პროცესის შეუქცევადობას და ხანგრძლივობას. „თავისუფლებისათვის მებრძოლი ერი მოიპოვებს თავისუფლებას". რუბიკონი გადალახულია, კონსოლიდაციისაკენ მოწოდებებმა დაკარგა დეკლარაციული ხასიათი და თავისუფალი საქართველოს არსებობის აუცილებელი ატრიბუტი გახდა.

საქართველოს უზენაესი საბჭო გამოთქვამს რწმენას, რომ ჩვენი ისტორიის ამ რთულ, დაძაბულ, მაგრამ ამავე დროს ლამაზ, ამაღლებულ პერიოდში ერთ მუშტად შეკოული მთელი საქართველო მხარში ამოუდგება მის მიერვე არჩეულ უზენაეს საბჭოს და კიდევ ერთხელ დაადასტურებს იმ ისტორიულ ჭეშმარიტებას, რომ ჩვენს ქვეყანას გაჭირვების ჟამს ყოველთვის შეეძლო მთელი თავისი ფიზიკური და სულიერი ენერგია მიემართა მომხდური მტრის წინააღმდეგ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მოგმართავთ თქვენ, მთელი საქართველოს მოსახლეობას: დროებით გვერდზე გადავდოთ პირადი სოციალური თუ პოლიტიკური ინტერესები და სახელმწიფოს ინტერესებს დავუქვემდებაროთ ჩვენი ყოველდღიური საქმიანობა. საქმე, რომელიც ჩვენ ავაღორძინეთ, ღირს ამად.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი.

ამინ!

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო

თბილისი, 1991 წლის 9 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

330 სსრკ პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს
სსრკ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ა. ი. ლუკიანოვს
სსრკ უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავჯდომარეს
რ. ნ. ნიშანოვს
სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრს ბ. კ. პუგოს

თქვენთვის ცნობილია, რომ ამა წლის 24 აპრილს სსრკ უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება, რომელშიც დასახულია შიდა ქართლში, კერძოდ კი ცხინვალსა და მის მიმდებარე რაიონებში მდგომარეობის პოლიტიკური გზით რეგულირებისა და ნორმალიზაციის რეალური საშუალებები. ეს გადაწყვეტილება მიიღეს ამ საკითხზე კონსტრუქციული მსჯელობის შემდეგ. სსრკ უმაღლესი საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და რსფსრ უმაღლესი საბჭოს წევრთა შემადგენლობით შეიქმნება მუდმივი საპარლამენტთაშორისო კომისია, რომელსაც დავალებული აქვს რეგიონში მართლწესრიგის დაცვასთან დაკავშირებული ყველა საკითხის მოგვარება. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს მიაჩნია, რომ ეს გადაწყვეტილება ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე კონფლიქტის სწრაფი ლიკვიდაციის რეალური გზაა.

სწორედ ამ დროს აღნიშნულ რეგიონში მყოფი სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარები თავიანთი მოქმედებით იწვევენ ვითარების კიდევ უფრო მეტ დესტაბილიზაციას — თავს ესხმიან სოფლის უიარაღო მოსახლეობას, ატაცებენ ძძევლებს. ცნობილია, რომ დღეისათვის დაპატიმრებულია ბევრი ქართველი, რომლებისთვისაც ოფიციალურად არავითარი ბრალდება არ წაუყენებიათ. დღეს, 27 აპრილს, დილის 5 საათსა და 30 წუთზე შვიდი ჯავშანტრანსპორტიორი შეიჭრა სოფელ ერედვში. ჯარისკაცებმა ჩაამტვრიეს კარ-ფანჯრები, შეცვივდნენ სახლებში, გაჩხოკეს, დააკავეს და ცხინვალში წაიყვანეს ათი ადგილობრივი მცხოვრები, მათ შორის სამოცდაათი წლის ქალი. ათივე ძძევლის გვარი დადგენილია. ადგილობრივი მცხოვრებლები აგებენ ბარიკადებს და კეტავენ სოფლისაკენ მიმავალ გზას. წინა დღეს 26 აპრილს, ცხინვალის გარეუბანში, ბაგების ქუჩაზე ოსი ბანდიტები თავს დაესხნენ სიმონ ფარცხალაძის ოჯახს, ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს ოჯახის დიასახლისი ზოია ფარცხალაძე-კობალაძე, ოჯახის უფროსი სიმონ ფარცხალაძე კი მძიმედ დაჭრეს მუცლის არეში. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების მიმხებებლობით ბანდიტები არბევენ და ხოცავენ ქართველი ეროვნების პირებს.

საქართველოს რესპუბლიკისათვის კატეგორიულად მიუღებელია სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ამა წლის 23 აპრილის ბრძანებულება, რომელიც ითვალისწინებს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შინაგან საქმეთა ორგანოების სტრუქტურების აღდგენას, რაც არა მარტო სუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერენული საქართველოს, არამედ თვით სსრკ კონსტიტუციის უხეში დარღვევაა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო კატეგორიულ პროტესტს აცხადებს შიდა ქართლში სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების მოქმედების გამო, რაც ჩაშლით ემუქრება კონფლიქტის პოლიტიკური გზით გადაწყვეტის წარმატებით დაწყებულ საქმეს, და დაბეჯითებით მოითხოვს:

1. დაუყოვნებლივ გაუქმდეს სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს 23 აპრილის ბრძანებულება.

2. დაევალოს სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლში მყოფი ჯარების ხელმძღვანელობას შეწყვიტოს ცალმხრივი ძალადური მოქმედებანი ქართველი მოსახლეობის მიმართ როგორც აღნიშნულ რეგიონში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

3. დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს ქ. ცხინვალსა და მიმდებარე რაიონებში დაკავებული ყველა პირი, რომლებიც პრაქტიკულად უკანონოდ არიან ამოყვახილი საქართველოს რესპუბლიკის იურისდიქციიდან, ან გადასცენ ისინი საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურას.

4. დაევალოს სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის რეგიონში მყოფი ჯარების ხელმძღვანელობას მჭიდროდ ითანამშრომლოს საპარლამენტთაშორისო კომისიასთან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დავალებით

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 27 აპრილი.

331 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს პერეს დე კუელიარს

მსოფლიოს ხალხებსა და პარლამენტებს

რღვევის პირას მისული საბჭოთა იმპერია გააფთრებული ეჭიდება ხელისუფლებას, ცდილობს ერთმანეთს წაჰკიდოს და დამღუპველ უფსკრულში გადაჩეხოს იმპერიის ტყვე ხალხები, განსაკუთრებით კავკასიაში, სადაც მრავალი საუკუნეა გვერდიგვერდ ცხოვრობენ სხვადასხვა წარმომავლობისა და რელიგიის, მაგრამ ერთმანეთთან სულიერად და ტრადიციულად მჭიდროდ დაკავშირებული ხალხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმპერია, როგორც ცხობილია, ამაყ და თავისუფლებისმოყვარე კავკასიელთა დასაძორჩილებლად ყოველთვის იყენებდა ე. წ. ეთნოკონფლიქტებს, ამასთანავე ეყრდნობოდა ადგილობრივ მცხოვრებლებს თავისი ერის მოღალატეებს — კავკასიელ ხალხთა ჭეშმარიტ მტრებს. ასე იქმნებოდა და დღესაც იქმნება დაძაბულობის კერები, ზოგან უკვე იღვრება სისხლი, ზოგანაც ამჟამად მზადდება მკვიდრი მოსახლეობის გენოციდი.

იმპერია მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ყოველმხრივ ცდილობს დაარწმუნოს მსოფლიო, თითქოს ცენტრის ჩარევის გარეშე კავკასიის „ველური და კაციჭამია ტომები“ ერთმანეთს მოსპობენ.

კრემლს უკვე შექმნილი „ეთნოკონფლიქტების“ ჯაჭვის მორიგ რგოლად კავკასიაში მიაჩნია უწინარეს ყოვლისა საქართველო და ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკა. ამაზე აშკარად მეტყველებს შემდეგი ფაქტები:

1. საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ 1921 წელს უკანონოდ შექმნილ ყოფილ ე. წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში“, რომელიც ისტორიული შიდა ქართლი გახლავთ, რესპუბლიკის ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად შეყვანილია საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს დიდძალი ჯარი, რომლებიც პროკომუნისტურად განწყობილ ოს ექსტრემისტებთან ერთად არბევენ, ხოცავენ და აპატიმრებენ ქართველ მოსახლეობას, ბევრია მოკლული და დაჭრილი; ქართველთა წინააღმდეგ იყენებენ ავტომატურ იარაღს, რაკეტებს, ნაღმებს, ხელყუმბარებსა და სხვა, დაპატიმრებულ ქართველებთან არ უშვებენ ადვოკატებს, საბჭოთა ჯარების მიერ შიდა ქართლში შექმნილი „ეროვნული ხსნის კომიტეტი“ თვითნებურად ხიშხავს „პროკურორს“ და სხვა თანამდებობის პირებს.

უხეშად ირღვევა ადამიანის უფლებები; 10 ქართული სოფელი საბჭოთა ჯარების მიერ მოქცეულია მძიმე ბლოკადაში, დაწყებულია შიმშილი, არ არის მედიკამენტები. რეგიონიდან მოდის ქართველ და ოს ლტოლვილთა უწყვეტი ნაკადი, რომელთა რიცხვიც 30 ათასს აჭარბებს. საბჭოთა კავშირის ცენტრალური საინფორმაციო საშუალებები აყალბებენ და ჩქმალავენ საქმის რეალურ ვითარებას, ყოველნაირად ხელს აფარებენ ჯარების და ექსტრემისტთა უკანონო მოქმედებას. ცენტრის მიზანია ქართველი მოსახლეობის გამოძევება რეგიონიდან და ამ ტერიტორიის შეერთება ჩრდილოეთ ოსეთთან.

2. ბოლო ორი წლის განმავლობაში საკავშირო ინფორმაციის საშუალებებით აქტიურად ინერგება შეხედულება ჩეჩენთა და ინგუშთა რუსუფობულ განწყობის შესახებ, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ე. წ. ველიკორუსულ შოვინიზმის კიდევ უფრო გაღრმავებასა და გაშლას. ამ მიზნით შეგნებულად ვრცელდება ჭორები, თითქოსდა ვაინახები (ჩეჩნები და ინგუშები) ამზადებენ თავდასხმებს რუსი ეროვნების მოსახლეობაზე.

მოსკოვსა და იმპერიის სხვა ქალაქებში იქმნება აგრეთვე აზრი, თითქოს ეს მცხოვრები ვაინახები ყბადაღებული „ჩეჩნური მაფიის“ წევრები და რეკეტიორები იყვნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. „ეთნოკონფლიქტის“ წინ, როგორც საქართველოს რესპუბლიკაში, კერძოდ, შიდა ქართლში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი), ასევე ვაინახთა წინააღმდეგაც დამსჯელი ომის მოსამზადებლად ცენტრი ინტენსიურად უპირისპირებს ერთმანეთს ვაინახებსა და მათ მეზობელ ხალხებს:

ა) თვით ცენტრალური პრესაც კი აღარ მალავს, რომ ბოლო ხანს ინტენსიურად იქმნება კავკასიაში მცხოვრებ კაზაკთა სამხედრო ფორმირებები და კულტურული აღორძინების მოტივით ხდება მათი შეიარაღება;

ბ) ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის მიმდებარე ვაინახთა ისტორიულ ძიწაზე (შიდა ქართლის ანალოგია), რომლის 46 პროცენტი დღეს ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკაში შედის, საგანგებოდ მზადდება დიდი, სისხლიანი კონფლიქტი ინგუშ და ოს მოსახლეობას შორის (არის ცდა ასეთივე კონფლიქტის შექმნისა ჩეჩნეთ-დაღესტნის საზღვარზეც). ცენტრი ხელს უწყობს თავისი მორჩილი, ანგარებით შეპყრობილი ოსი ექსტრემისტების შეიარაღებას და სწორედ მათი მეშვეობით ცდილობს სამაგალითოდ დასაჯოს თავისუფლებისმოყვარე „ურჩი“ ვაინახები, ხელს უშლის აგრეთვე 1944 წელს შუა აზიაში უსამართლოდ დეპორტირებული ჩეჩნებისა და ინგუშების სამშობლოში დაბრუნებას, რაც კიდევ უფრო აღრმავებს და ამწვავებს დაპირისპირებულობას ვაინახებსა და ოსებს შორის. ამის მიერვე ინსპირირებული „ეთნოკონფლიქტის“ თითქოსდა მოწესრიგების საბაბით კრემლს დიდი რაოდენობით შეჰყავს საბჭოთა არმიისა და შინაგანი ჯარების ნაწილები ვაინახთა მიწაზე, რათა რაც შეიძლება მალე შემოიღოს და განახორციელოს საპრეზიდენტო მმართველობა და ამით ჩაკლას უძველესი კულტურის მქონე ვაინახთა ამაყი სული, მათი სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ. სხვათა შორის, ამ ხალხმა ამ ერთი საუკუნის განმავლობაში უკვე ორჯერ იწვნია სამშობლოს დაკარგვის მთელი სიმწარე. როგორც ჩანს, აგონიაში მყოფი იმპერია ჩეჩნეთ-ინგუშეთში მესამედაც ამზადებს გაუგონარ სისხლიან ტერორსა და გენოციდს. უკვე დაიწყო შეტაკებები ინგუშებსა და ოსებს შორის, არის მსხვერპლი, უამრავი დაჭრილი. საბჭოთა ჯარები აქაც ოსი ექსტრემისტების მხარეზე არიან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიამ თავის საგანგებო სხდომაზე იმსჯელა შიდა ქართლსა და ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი საგანგაშო ვითარების შესახებ და მიმართავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, მსოფლიოს ხალხებსა და პარლამენტებს, დაგმონ იმპერიის ბოროტი ზრახვები, მხარი დაუჭირონ თავისუფლებისმოყვარე, დიდი კულტურული ტრადიციების მქონე ქართველებს, ამაყ ჩეჩნებსა და ინგუშებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული კრემლის მიერ დაგეგმილი საშინელი ტრაგედია.

იმედი გვაქვს თქვენი მხარდაჭერისა და თანადგომისა, ამიტომ გთხოვთ, საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიაში გამოგზავნოთ ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის ექსპერტები, რომლებიც შეისწავლიან ქართველების, ჩეჩნების, ინგუშებისა და სხვა ერების წარმომადგენელთა უფლებების უხეში დარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვევის ფაქტებს და დასახავენ ღონისძიებებს მათს აღსაკვეთად.
პატივისცემით

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.
საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 27 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მიმართვები და განცხადებები

332 მიმართვა სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს

ამა წლის 1 აპრილს სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შექმნილი მდგომარეობის შესახებ“.

ეს დადგენილება კიდევ ერთი, ამჯერად თავისი შედეგებით განუჭვრეტელი აქტია, რომელიც მიზნად ისახავს შიდა ქართლში, ესე იგი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ვითარების შემდგომ გამწვავებას.

მხოლოდ ვარედან მხარდაჭერით შეუძლიათ ოს ექსტრემისტებს სჩადიოდნენ უმსგავსობას და ძალადობას ოდითგანვე ქართულ მიწებზე, იწვევდნენ ვითარების დესტაბილიზაციას საქართველოს რესპუბლიკაში, რომელიც ძალით წართმეული სახელმწიფოებრიობის აღდგენის გზას დაადგა.

ეს დადგენილება მოჰყვა ანალოგიურ დოკუმენტებს, მიღებულს რუსეთის სფსრ სახალხო დეპუტატთა მესამე საგანგებო ყრილობაზე. იგი 1991 წლის 23 მარტს რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბ. ნ. ელცინისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზ. კ. გამსახურდიას შეხვედრის ოქმის მიუხედავად (რომელშიც დასახულია პრობლემის გადაჭრის გზა საქართველოს რესპუბლიკისა და ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის ინტერესების გათვალისწინებით), კონსერვატიული ძალების ზედავლენით, მიმართავდა კონფლიქტის გადაწყვეტის ულტიმატუმურ ფორმას. სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ თავის მხრივ ყველაფერი იღონა იძულებით ღონისძიებათა ესკალაციისათვის.

შეიქმნა ერთიანი ფრონტი დამოუკიდებლობისადმი საქართველოს მისწრაფების წინააღმდეგ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ, მაშინ როცა ქართველმა ერმა ეროვნულ უმცირესობებთან ერთად, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის დაახლოებით 30 პროცენტს შეადგენენ, რესპუბლიკური რეფერენდუმის დროს თითქმის ერთხმად (ხმის უფლების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მქონე მთელი მოსახლეობის 89,3 პროცენტი) მხარი დაუჭირა დამოუკიდებლობას, ცენტრის მხრიდან მზადდება საქართველოს რესპუბლიკის ხელმეორე ანექსია და ოკუპაცია სამხრეთ ოსეთის პუტჩის საბაბით.

საქართველოს რესპუბლიკის დემოკრატიული გზით არჩეულმა მრავალპარტიულმა უზენაესმა საბჭომ გაითვალისწინა სსრ კავშირში შექმნილი უაღრესად რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია და ვამოაცხადა გარდამავალი პერიოდი სრული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად.

ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ ეს ნაბიჯი იქნებოდა სტაბილიზაციის ფაქტორი, რომლის დროს დემოკრატიული პოლიტიკური საშუალებებით შესაძლებელი გახდებოდა საქართველოს რესპუბლიკის მშვიდობიანი ეტაპობრივი გამოსვლა სსრ კავშირის შემადგენლობიდან. ჩვენი არჩეული გზა შეესაბამებოდა როგორც საქართველოს მთელი მოსახლეობის, ასევე ყველა კეთილი ნების ადამიანის ინტერესებს. მაგრამ ცნობილი მარჯვნივ შემობრუნების შემდეგ საკავშირო მთავრობას, რომელიც უგულებელყოფს საღ აზრს, არ გამოუჩენია არავითარი გონივრული ინიციატივა ამ მიმართულებით, რისი შედეგიც იყო სისხლიანი მოვლენები მოლდოვაში, ლიტვაში, ლატვიაში და ხელოვნურად გაჩაღებული კონფლიქტი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე. საქართველო დღეისათვის ანექსირებული სახელმწიფოა, მაგრამ ჰყავს დემოკრატიული გზით არჩეული ხელისუფლება, რომელიც მოსახლეობის საყოველთაო ხმარდაჭერით სარგებლობს (რასაც ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს ამა წლის 31 მარტის რესპუბლიკური რეფერენდუმის შედეგები).

საკავშირო ხელისუფლების პროვოკაციულ მოქმედებას, რომელმაც შეიძლება საქართველოს ტერიტორიის ნებისმიერ ნაწილში საგანგებო წესების ან საპრეზიდენტო მმართველობის გამოცხადების ფორმა მიიღოს, ჩვენ შევაფასებთ როგორც საქართველოს რესპუბლიკისათვის ომის გამოცხადებას.

კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ მთელი პასუხისმგებლობა მოსალოდნელი შედეგებისათვის დაეკისრება საკავშირო ხელმძღვანელობას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 2 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

333 სსრ კავშირის პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ა. ი. ლუკიანოვს

უკანასკნელ დღეებში ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შეჰყავთ საბჭოთა არმიისა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების დამატებითი კონტინგენტი. მოსკოვიდან ჩამოსული პოლკოვნიკ ალექსანდროვის განცხადებით ეს ჯარები არ დაექვემდებარებიან საქართველოს შინაგან საქმეთა საძინისტროს და მის მიერ დანიშნულ კომენდანტს. უფრო მეტიც, უნდობლობა გამოეცხადათ არა მარტო მათ, არამედ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს დივიზიის ნაწილებს, რომლებიც განლაგებული არიან ქ. თბილისში და რომლებსაც ნაბრძანები აქვთ დატოვონ ცხინვალი საქართველოს მილიციასთან ერთად.

ოსმა ექსტრემისტებმა ყველაფერი ეს აღიქვეს როგორც მხარდაჭერა და დაიწყეს გაბედული ძოქმედება.

5 აპრილს, დაწყებული 16 საათიდან ქართულ სოფლებს თამარაშენს, აჩაბეთს, ქემერტს, სვერს და სხვებს ოსმა ექსტრემისტებმა შინაგანი ჯარების ნაწილების ძხარდაჭერითა და მათი ჯავშანტრანსპორტიორებით ყველა მხრიდან შეუტიეს. დაიღუპნენ თამარაშენის ორი მცხოვრები ე. ელბაქიძე და ზ. მეტრეველი, ხოლო სამი დაიჭრა. იმავე ღამეს ერედვი—ხეითის გზაზე მოკლეს მილიციის კურსანტი თ. დათაშვილი და სოფელ მერეთის მცხოვრები ვ. ტატიშვილი.

სახეზეა აშკარა აგრესია საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, გრძელდება მისი მოსახლეობის გენოციდი, დღემდე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ცდილობდა მოენახა დიალოგისა და დაზავების გზები, მაგრამ ახლა იზრდება საქართველოს ძოსახლეობის საყოველთაო აღშფოთება, რასაც ემატება ეკონომიკური პირობების სერიოზული გაუარესება, ფასების გაზრდა და ცენტრის ძხრივ ბლოკადა.

ყოველივე ამის შედეგად ძრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციების, აგრეთვე საქართველოს მშრომელთა ინიციატივით რესპუბლიკაში მზადდება საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა, მუშების, მოსამსახურეების, რკინიგზელების, მეზღვაურებისა, რომლებიც უერთდებიან სსრ კავშირის გაფიცულ მშრომელებს და ეთანხმებიან ყველა მათ ძოთხოვნას.

ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქთან დაკავშირებით საგაფიცვო კომიტეტები თხოულობენ შეწყდეს სამხედრო აგრესია საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ და განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან გაყვანილ იქნენ საბჭოთა არმიის ნაწილები და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების დამატებითი კონტინგენტი, რომლებიც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ძხარეებიდან ჩამოვიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაბრუნებულ იქნენ ცხინვალში კომენდანტი და მისი მოადგილეები, რომლებიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დანიშნა.

3. დახურულ და გაუქმებულ იქნეს როკის უღელტეხილი და გვირაბი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 6 აპრილი.

334 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის განცხადება

საბჭოთა რეგულარული არმიის შეზღუდული ნაწილების ქ. ცხინვალში შეყვანით უხეშად ითელება საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტი. ამ აქციის წინ ჩვენ იმედი გვქონდა, რომ სსრ კავშირის ხელმძღვანელობა თავს შეიკავებდა აღნიშნულ რეგიონში მდგომარეობის შემდგომი დესტაბილიზაციისაგან.

საბჭოთა და მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის კარგად არის ცნობილი „შეზღუდული კონტინგენტის“ ავღანეთში შეყვანის ტრაგიკული შედეგები. სამხედრო მოსამსახურეთა ხალხის წინააღმდეგ გამოყენების ჩვენი „გამოცდილებაც“ გვაქვს.

ათწლეულების მანძილზე დიქტატორულ-ტოტალიტარული რეჟიმი, რომელმაც ქვეყანა მატერიალურ და სულიერ გაღატაკებამდე მიიყვანა, საბჭოთა საზოგადოებისათვის თავს დატეხილ ყველა უბედურებას „გარეშე მტერს“ აბრალებდა. უკანასკნელ ხანს, ეკონომიკური ნგრევის პირობებში, კულტივირებულია „შინაური მტერი“ დემოკრატიული მოძრაობის სახით, რაც იმ ხალხების მიმართ გამოიყენება, რომლებიც თვითგამორკვევისათვის ერთა უფლების რეალიზაციის გზას დაადგნენ.

საქართველოს ახალ, დემოკრატიულ რესპუბლიკას არ განუცხადებია სსრ კავშირის შემადგენლობიდან დაუყოვნებლივ გამოსვლა, თუმცა კი სსრ კავშირის კონსტიტუციის თანახმად ამის უფლება გააჩნია, თავისთავზე აიღო ვალდებულება გამოცხადებული გარდამავალი პერიოდის განმავლობაში არ გაწყვიტა ეკონომიკური და სხვა კავშირები რესპუბლიკებთან.

უფრო მეტიც, ჩვენ არაერთხელ განვაცხადეთ, რომ შემდგომშიც, სრული სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოპოვებისას, მხარს დავუჭერთ მჭიდრო ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობას უშუალო მეზობლებთან — რუსეთთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან, აგრეთვე სხვა რესპუბლიკებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივიჩნევდით, რომ ჩვენს კონსტრუქციულ პოზიციას სათანადო გაგებით მოეკიდებოდა საკავშირო ხელმძღვანელობა, მაგრამ უკანასკნელს ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეროვნული პრობლემების „ძალის გამოყენებით“ გადაჭრის სულ უფრო მეტი მიდრეკილება აქვს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ განსაზღვრულმა წრეებმა ამოცანად დაისახეს მაღაზიების ცარიელი დახლებიდან, მასობრივი დემოსტრაციებისა და გაფიცვებიდან, რამაც მთელი ქვეყანა მოიცვა, საბჭოთა კავშირის ხალხების ყურადღება გადაიტანონ ქართულ მიწაზე ახალი ავღანეთის შექმნით.

გამოვთქვამთ რწმენას, რომ სსრ კავშირის მთავრობა ამ კრიტიკულ ჟამს გამოიჩენს კეთილგონიერებას და არ გამოვა საქართველოს წინააღმდეგ ახალი ინტერვენციის, ასევე საკუთარ ქვეყანაში სამოქალაქო ომის ინიციატორად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი

თბილისი, 1991 წლის 6 აპრილი.

335 მის აღმატებულებას სსრკ პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს

თქვენო აღმატებულებავ! როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, გამოხატა რა ქართველი ხალხის ნება, გამოთქმული 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმზე, 1991 წლის 9 აპრილს მიიღო „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი მოგმართავთ წინადადებით დაუყოვნებლივ დავიწყოთ მოლაპარაკება რიგი საკითხების გადაჭრელად, რომელთაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ ორივე სახელმწიფოსათვის. ამ მოლაპარაკების ლოგიკური დასასრული იქნებოდა კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება ჩვენს ქვეყნებს შორის.

მოლაპარაკების მოსამზადებლად გთავაზობთ შედგეს საკონსულტაციო შეხვედრა სსრკ-სა და საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენლებს შორის, აგრეთვე შეიქმნას სამუშაო ჯგუფები, მოლაპარაკების ნებისმიერი ნაგაჭიანურებამ ან წამოჭრილი საკითხების ძალისმიერი გადაწყვეტის ცდამ შეიძლება გამოიწვიოს ისედაც დაძაბული ვითარების შემდგომი გამწვავება და ძიგვიყვანოს გაუთვალისწინებელ შედეგებამდე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი

თბილისი, 1991 წლის 11 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

336 სსრკ პრეზიდენტს ბატონ მ. გორბაჩოვს

მინდა გაცნობოთ, რომ 11 აპრილს ქარელის რაიონის სოფელ დვანში სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს ძინაგანი ჯარების სამხედრო მოსამსახურეებმა დაწვეს ორი ეკლესია (წმ. გიორგისა და წმ. სამებისა), რომლებიც ქართული კულტურის ძეხიშვეველოვან ძეგლებს წარმოადგენენ. თავისი მრავალტანჯული ისტორიის მანძილზე საქართველოს ბევრი დამპყრობი და ბარბაროსი უნახავს, ოგრამ არც ხაზარებს, არც მონღოლებს, არც სპარსელებს არ მოუმოქმედებიათ ამგვარი ვანდალიზმის აქტები. აი როგორ გვსჯიან იმისათვის, რომ დამოუკიდებლობის აღდგენა გამოვაცხადეთ.

მოვითხოვთ შეწყდეს საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარისკაცების აღვირახსნილობა და თარეში. შეგახსენებთ, რომ ყოველივე ეს სახელის გატეხისა და სირცხვილის გარდა ვერაფერს მოუტანს თქვენს ქვეყანას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 12 აპრილი.

337 სსრ კავშირის პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს

ბატონო პრეზიდენტო!

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის გამოცხადების შემდეგ პირადად თქვენ ორჯერ, 9 და 11 აპრილს, მოგმართათ ჯერ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა ზვიად გამსახურდიამ, ხოლო შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა. ამ მომართვებით ჩვენ შევეცადეთ კონსტრუქციული მომენტები ძეგვეტანა ჩვენს ქვეყნებს შორის გართულებულ ურთიერთობაში. სამწუხაროდ, ჩვენს ინიციატივას დღემდე თქვენგან არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. მეტიც, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებას საქართველოში საბჭოთა ჯარების დამატებითი კონტინგენტის შემოყვანა მოჰყვა, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა ისედაც რთული მდგომარეობა.

ახლოვდება თქვენი უაღრესად მნიშვნელოვანი ვიზიტი იაპონიაში. გამოვთქვამთ შეშფოთებას იმასთან დაკავშირებით, რომ თქვენი არყოფნის დროს საბჭოთა კავშირში შეიძლება მოხდეს შეიარაღებული ძალის გამოყენება მშვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დობიახი ძოსახლეობის წინააღმდეგ, რასაც სამწუხაროდ არაერთხელ ჰქონია ადგილი, მათ შორის თბილისშიც, 1989 წლის 9 აპრილს.

იმედს გამოვთქვამთ, რომ თქვენ ჩვეული მაღალი პასუხისმგებლობით მოეკიდებით შექმნილ რთულ ვითარებას, რათა თავიდან ავიცილოთ მოვლენათა კატასტროფული გახვითარება. ძიგვაჩვია, რომ მდგომარეობის სტაბილიზაციის ერთგვარი გარანტია შეიძლება გახდეს თქვენს გამგზავრებამდე ჩვენი სახელმწიფოების სრულუფლებიან წარმომადგენელთა შეხვედრა, რათა შეიქმნას სამუშაო ჯგუფები ძომავალ მოლაპარაკებათა დასაწყებად.

თუ თქვეხი არყოფნის დროს განხორციელდება დამსჯელი აქცია საქართველოს რესპუბლიკის წინააღძდეგ, პასუხისმგებლობა დაგეკისრებათ პირადად თქვენ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი

თბილისი, 1991 წლის 13 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განჟოფილება მესამე

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის

სხდომები

9 აპრილს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომა. მის დაწყებამდე შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საქართველოს შვილების ხსოვნას, ორმლებიც ემსხვერპლნენ თბილისში 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკულ მოვლენებს.

დღის წესრიგის მთავარი საკითხი იყო საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენა მისი დამოუკიდებლობის შესახებ 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე. ამ საკითხის გამო მოხსენება გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ. ისტორიული ექსკურსის შემდეგ მან დაწვრილებით გაანალიზა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ქართველი ხალხის ბრძოლის ყველა პერიპეტია, რომელიც დაიწყო მაძიხვე, როგორც კი რუსეთის იმპერიამ გასული საუკუნის დამდეგს ძოახდინა საქართველოს ანექსია და გააუქმა მისი სახელმწიფოებრიობა.

ზვიად გამსახურდიამ წაიკითხა საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აქტის პროექტი. მის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები ნოდარ ხათაძე, აპოლონ სილაგაძე, ნინო ჯავახიშვილი, ალეკო მელაძე, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი ხოჯტაია, დეპუტატები გრიგოლ ძარგიანი, ძ.ხეკალა ბანიძე, რუსლან ლონდაძე, ლევან ალექსიძე და სხვები.

უზენაესმა საბჭომ ერთხმად მიიღო ეს ნანატრი, ჭეშმარიტად ისტორიული დოკუმენტი და თავისი ხება დაადასტურა ხანგრძლივი ტაშითა და ოვაციებით. დარბაზში ხახეიმოდ აგუგუნდა საქართველოს რესპუბლიკის ჰიმნი „დიდება“.

ეს ღირსშესანიშნავი დღე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და ქრისტეს მეთაურის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის სახელით დამსწრეთ ძოულოცა უზენაესი საბჭოს წევრმა, ქაშუეთის ეკლესიის წინამძღვარმა მამა არჩილმა. მან აღნიშნა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება დაემთხვა ივერიის ღვთისმშობლის ხატის ხსენებას, რომლის პატივსაცემად დღეს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ლოცვას აღავლენს მცხეთაში. ეს უაღრესად სიმბოლურია, რადგან ივერიის ღვთისმშობელი მფარველობს საქართველოს და სწორედ მან აჩუქა მას დიდი ხნის ნანატრი თავისუფლება.

სესიაზე მიიღეს მიმართვები მსოფლიოს ხალხებისა და სსრ კავშირის პრეზიდენტის მ. გორბაჩოვისადმი, რომელთა ტექსტი წაიკითხა დეპუტატმა თედო პაატაშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა სახელით რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს მიესალმა მწერალი გურამ ბათიაშვილი. მან წაიკითხა ქართველ ებრაელთა მიმართვა სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ყველა ებრაელისადმი და მოწოდება მსოფლიოს საზოგადოებრიობას გააგებინონ სიმართლე საქართველოზე, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მისი ხალხის ბრძოლაზე.

გულთბილად მიესალმა შეკრებილთ ინგუში ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი ისა კოძოევი და მიულოცა ქართველ ხალხს ეს ღირსშესანიშნავი დღე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინგუში ხალხი გულწრფელად სოლიდარობს ქართველ ძმებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. მან მოუწოდა კავკასიის ყველა ქრისტიან და მუსლიმან ხალხებს მხარი დაუჭიროს თავისუფალ საქართველოს.

შემდეგ უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოქმედების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის აკაკი ასათიანის წინადადებით სესიამ ერთხმად მიიღო დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მთავრობის წევრებმა ხელი მოაწერეს საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს.

*
* *

14 აპრილს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის ასევე საგანგებო სხდომა, რომელიც გახსნა მისმა თავმჯდომარემ ბატონმა ზვიად გამსახურდიამ.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე — საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების შესახებ ილაპარაკა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ აკაკი ასათიანმა. მან თქვა, თუ რაოდენ საჭიროა ამ თანამდებობის დაუყოვნებლივ შემოღება და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნამდვილი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ქართველი ხალხის ბრძოლის ამ ეტაპზე განსაკუთრებით საჭიროა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას წარმართავდეს პრეზიდენტი, რომელსაც უდიდესი ეფლებამოსილებანი და პასუხისმგებლობა ეკისრება ხალხის წინაშე სახელმწიფოს საქმის ვითარებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრმა ჯონი ხეცურიანმა წარმოადგინა კანონპროექტი პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების და ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. აზრთა გაზიარებაში მონაწილეობდნენ დეპუტატები აკაკი ბობოხიძე, აპოლონ სილაგაძე, მინდია სალუქვაძე, დავით კუპრეიშვილი, ემზარ გოგუაძე, ლევარდ ტუხაშვილი, თედო ნინიძე, ელდარ შენგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია, აკაკი ასათიანი, ნოდარ ნათაძე, რამაზ სურმანიძე, ალექსანდრე ქობულაშვილი, ლევან ალექსიძე, რომან გოცირიძე, ალექსანდრე შუშანაშვილი, თეიმურაზ ქორიძე, ნუგზარ მოლოდინაშვილი, ბაკურ გულუა, გელა ჩორგოლაშვილი, თედო პაატაშვილი და სხვები.

უზენაესმა საბჭომ ერთხმად მიიღო კანონი პრეზიდენტის თანამდებობის შეშოლებისა და ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევის საკითხზე ილაპარაკა ბატონმა აკაკი ასათიანმა. „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ ბლოკში შემავალი პოლიტიკური ორგანიზაციების სახელით მან ამ თანამდებობაზე დაასახელა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას კანდიდატურა.

სხვა კანდიდატურები არ დაუსახელებიათ. ღია კენჭისყრით უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდია ერთხმად აირჩია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად.

ტაშის გრიალში ტრიბუნაზე ავიდა ბატონი ზვიად გამსახურდია. მან მადლობა გადაიხადა ნდობისათვის და ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეგნებული აქვს უდიდესი პასუხისმგებლობა, აღუთქვა დამსწრეთ, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებს ქართველი ხალხის სანუკვარი ოცნების — სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მისაღწევად.

შემდეგ სხდომას უძღვებოდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე აკაკი ასათიანი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ კანონპროექტი დეპუტატებს გააცნო საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ტარიელ კულულაშვილმა, წარმოდგენილი კანონის პროექტის თაობაზე შეხიშვნებითა და წინადადებებით გამოვიდნენ დეპუტატები აკაკი ასათიანი, ირაკლი ძელაშვილი, ბიმურზა აფრასიძე, საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ ჭირაქაძე, დეპუტატები ნუგზარ მოლოდინაშვილი, ლოვარდ ტუხაშვილი და სხვები.

უზენაესმა საბჭომ პირველი წაკითხვით მიიღო კანონი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ, რომლის თანახმად 1991 წლის 26 მაისს გაიმართა პრეზიდენტის პირველი საყოველთაო არჩევნები ფარული კენჭისყრით თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე. მიღებულია დადგენილება ამ კანონის სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და მისი სახით თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ მთელ ქართველ ხალხს მიესალმა უნგრეთის პარლამენტის წევრი ტომაშ ტირჩი.

სხდომის დამთავრების შემდეგ ქალაქ თბილისის პრეფექტმა ირაკლი ან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლრიაძემ დეპუტატები, სესიაზე მყოფი სტუმრები მიიწვია შოთა რუსთაველის ძეგლისა და კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლის გახსნაზე.

*

* *

18 აპრილს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა, რომელიც გახსნა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ აკაკი ასათიანმა.

სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, აგრეთვე სამინისტროთა და დეპარტამენტთა ხელმძღვანელები, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პრეფექტები.

სამანდატო და დეპუტატის ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ბიძინა დანგაძის წარდგინებით უზენაესმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიისაგან გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად ცნო ამავე პარტიისაგან ახლად არჩეული დეპუტატის გერმანე ფაცაციას — საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული პოლიტიკური ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტის დირექტორის უფლებამოსილებანი.

შემდეგ სიტყვა მიეცა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ნინო ბურჯულაძეს. იმასთან დაკავშირებით, რომ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ზვიად გამსახურდია არჩეულია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად, მან წინადადება წამოაყენა აირჩიონ უზენაესი საბჭოს ახალი თავმჯდომარე და დაასახელა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის აკაკი ასათიანის კანდიდატურა.

ამ პოსტზე სხვა კანდიდატურები შემოთავაზებული არ ყოფილა. დეპუტატებმა ერთხმად აირჩიეს აკაკი ასათიანი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ.

თავის გამოსვლაში ბატონმა აკაკი ასათიანმა მადლობა ვადაუხადა უზენაეს საბჭოს ნდობისათვის, ხაზგასმით აღინიშნა, რომ კვლავაც ერთგულად ემსახურება საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მაღალ იდეალებს.

სესიამ გახიხილა კანონი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ, რომელიც პირველი წაკითხვით მიიღეს მის წინა სხდომაზე. მასში შეტანილი ცვლილებანი და დამატებანი დეპუტატებს გააცნო უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის მდივანმა გიორგი გულბანმა, რის შემდეგაც კანონი მიიღეს.

სესიის დღის წესრიგის შემდეგი საკითხი იყო პრეფექტურის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი. ეგი უზენაეს საბჭოს წარუდგინა საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილე ტარიელ კულულაშვილმა. კანონპროექტის გამო კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები ლევარდ ტუხაშვილი, ალექსანდრე ახვლედიანი, ქალაქ თბილისის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეფექტი ირაკლი ანდრიაძე, დეპუტატები ბიმურზა აფრასიძე, იოსებ ბარათა-შვილი, მაია მაჭავარიანი, გივი ლობჟანიძე, თეიმურაზ ქორიძე, მერაბ კიკნაძე, ლევან ალექსიძე, რუსლან ღონღაძე, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის ამინისტრი ჯონი ხეცურიანი, თერჯოლის რაიონის პრეფექტი არჩილ მაკარიძე, ბესტიის რაიონის პრეფექტი ციალა გულედანი და სხვები.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თენგიზ სიგუას წინადადებით, კანონი პრეფექტურის შესახებ მიიღეს პირველი წაკითხვით, განცხადება, რომელმაც დიდად აღაფოთა კანონმდებლები, სესიაზე გააკეთა დეპუტატმა ამირან კალაძემ. მან თქვა, რომ გუშინ საქართველოს მიმართ კრემლის პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად შიმშილობა გამოაცხადა საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტმა, ორი შვილის მამამ თენგიზ ძესხმა, რომელმაც საკუთარი ხელით გაიკერა პირი. მის მოთხოვნებს შორის არის ჯარის გამოყვანა სამაჩაბლოდან და საქართველოს მთელი ტერიტორიიდან, ქართველი ხალხის ძიმართ გენოციდის შეწყვეტა, სუვერენული საქართველოს საშინაო საქმეებში ჩაუთევლობა. თენგიზ ძესხი, მასთან ერთად კი რამდენიმე წისი თანამოაზრე, ახლა აპირებენ მოსკოვს გამგზავრებას, რათა იქ განაგრძონ საპროტესტო აქცია.

შემდეგ უზენაესმა საბჭომ განაგრძო სესიის დღის წესრიგში შეტანილი საკითხების განხილვა, რომელთა გამო გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ბატონი თენგიზ სიგუა.

აზრთა გაზიარების შედეგად მიიღეს გადაწყვეტილებანი ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონის ჩუღურეთის რაიონად გადარქმევის შესახებ, აფხაზეთის, ასრ უზენაესი საბჭოს მიერ ქალაქ გაგრისადმი ადმინისტრაციულად დაქვემდებარებული ბზიფის სასოფლო საბჭოს სადაბო საბჭოდ გარდაქმნის დამტკიცების შესახებ, თეთრი წყაროს რაიონის მეხვეტილას სასოფლო საბჭოს სოფელ პოლიასას სოფელ ჯვრისხევად გადარქმევის შესახებ.

უზენაესმა საბჭომ დამტკიცა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ მურმან მელიტონის ძე ოძანიძის დანიშვნის შესახებ. დამტკიცებულია აგრეთვე ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ ოთარ ვლადიმერის ძე ქვილითაიას დანიშვნისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობიდან მისი გათავისუფლების შესახებ.

მიღებულია კანონები საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის სამინისტროს შექმნის შესახებ, დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და სახელმწიფო რეზერვების სამინისტროს საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რესურსების სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ.

უზენაესი საბჭოს თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების მუდმივი კომისიის ქვეკომისიის თავმჯდომარის ალეკო ვარძელაშვილის წარდგინებით შეტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილია ცვლილებანი დროებით დებულებაში შინაგან ჯარებში — საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ გვარდიაში სამხედრო სამსახურის გავლის წესის შესახებ.

დეპუტატთა წინადადებით სხდომის დღის წესრიგში შეიტანეს პუნქტი „სხვადასხვა". განცხადებებით და წინადადებით რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე გამოვიდნენ დეპუტატები თამაზ ჯანელიძე, ლევან ალექსიძე, აპოლონ სილაგაძე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თენგიზ სიგუა, დეპუტატები ალიკო მელაძე, ალექსანდრე ქობულაშვილი, კუკური ჩაფიჩაძე, დავით ბერძენიშვილი, ბიმურზა აფრასიძე, რომან გოცირიძე, რობერტ პეტრიაშვილი და სხვები.

სესიის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ზუსტად ორი წლის წინათ აჭარაში სტიქიური უბედურების დროს დაღუპულთა ხსოვნას.

*

■ ■

23 აპრილს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა, რომელიც უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის აკაკი ასათიანის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა.

სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და რესპუბლიკის მთავრობის წევრები.

სესიის დღის წესრიგის განხილვისას გამოვიდნენ დეპუტატები დავით ბერძენიშვილი და ხოდარ ნათაძე, რომლებმაც წინადადება წამოაყენეს დღის წესრიგში შეეტანათ საკითხები ამ ბოლო ხანს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და შიდა ქართლში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის შესახებ, მაგრამ შემდეგ სიტყვა აიღო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, რომელმაც უზენაესი საბჭოს წევრებს გააცნო ამ რეგიონების საერთო მდგომარეობა, ღონისძიებანი, რომლებიც ხორციელდება იქ სიტუაციის ნორმალიზაციისათვის, თქვა, რომ მიზანშეწონილად არ მიაჩნია სესიის ახლახდელ სხდომაზე ამ საკითხების განხილვა, რასაც დეპუტატებიც დაეთანხმნენ.

დღის წესრიგის პირველ სამ საკითხზე — საქართველოს რესპუბლიკის კანონებზე: პრეფექტურის შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ, გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე გამოვიდა უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის მდივანი გიორგი გულბანი.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თენგიზ სიგუა, საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი გურამ აბსანძე, დეპუტატები ბიმურზა აფრასიძე, რომან გოცირიძე, ბეჟან გო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაშვილი, ზურაბ წიქარიძე, ნოდარ ნათაძე, ავთანდილ პოპიაშვილი, პაატა კოღუაშვილი, რუსლან ღოხლაძე, აკაკი ბობოხიძე, ბაკურ გულუა, გურამ პეტრიაშვილი და სხვები. გაიმართა საფუძვლიანი აზრთა გაზიარება, რის შემდეგ უზენაესმა საბჭომ მიიღო სამივე კანონი.

შემდეგ დეპუტატებმა განიხილეს „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ კანონში ცვლილებათა შეტანის საკითხი, რომელიც წარმოადგინა უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ ნუგზარ მოლოდინაშვილმა. მიიღეს შესაბამისი კახოხი, რომლის თანახმად „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ კანონის მეორე მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნულია, რომ არჩევნებში არ მონაწილეობენ ფსიქიკურად ავადმყოფი მოქალაქეები, რომლებიც სასამართლოს მიერ ცნობილი არიან არაქმედუნარიანად, აგრეთვე ის პირნი, რომლებიც სასამართლოს განაჩენით თავისუფლების აღკვეთის ადგილებში არიან, ან რომელთა მიმართ სისხლისსამართლებრივ-საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით შერჩეულია პატიმრობა.

დღის წესრიგის მომდევნო სამ საკითხზე — საქართველოს რესპუბლიკაში ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ კანონის, ამ სამსახურის გავლის წესის დებულების დამტკიცების შესახებ, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის რიგებში სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის წესის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ გამოვიდა უზენაესი საბჭოს თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის მუდმივი კომისიის ქვეკომისიის თავმჯდომარე ალეკო ვარძელაშვილი. ამ საკითხების განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები თენგიზ კიტოვანი, ნოდარ ნათაძე, გურამ მაქაცარია, დავით არევაძე, ზვიად ბოკუჩავა, ზურაბ წიქარიძე, ვაჟა გურგენიძე, აპოლონ სილაგაძე, საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის მინისტრი თამაზ გუგუშვილი, დეპუტატები ვაჟა ადამია, მაია ნათაძე, დავით ბერძენიშვილი, თედო ნინიძე, რამაზ სურმანიძე და სხვები. დეპუტატებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები და გადაწყვიტეს გადაედოთ პირველი ორი საკითხის განხილვა. მესამე საკითხზე კი — საქართველოს რესპუბლიკის შინაგან ჯარებში — ეროვნულ გვარდიაში სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის წესის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ უზენაესმა საბჭომ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოადგილის დავით კუპრეიშვილის წარდგინებით, დეპუტატებმა განიხილეს და მიიღეს კანონი საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ და ამასთან დაკავშირებით კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ, აგრეთვე დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ“ კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარედ სესიამ აირჩია ევტიხი ბენდელიანი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თენგიზ სიგუას წარდგინებით უზენაესმა საბჭომ საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრად დაამტკიცა ზურაბ მინდელი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ კანონის მეხუთე მუხლის შესაბამისად მიღებულია დადგენილება, რომლითაც ვადამდე შეწყდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გივი გუმბარიძის უფლებამოსილება.

რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა აქტუალური საკითხის გამო განცხადებებითა და წინადადებებით გამოვიდნენ სასოფლო და სატყეო მეურნეობის მინისტრი ნიკოლოზ იაშვილი, დეპუტატები ნოდარ ნათაძე, აპოლონ სილაგაძე, ლევარდ ტუხაშვილი, შინდია სალუქვაძე, ვლადიმერ მირცხულავა, დიმიტრი ქებურია, გიორგი ქავთარაძე, ბიმურზა აფრასიძე და რომან გოცირიძე.

* * *

27 აპრილს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და რესპუბლიკის მთავრობის წევრები.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ თენგიზ სიგუამ პარლამენტარებს განსახილველად წარუდგინა ცხინვალისა და ყორნისის რაიონების გაუქმების შესახებ კანონისა და ჯავის, საჩხერისა და ონის რაიონების საზღვრების შეცვლის შესახებ დადგენილების პროექტები.

მიღებული კანონის თანახმად, უზენაესმა საბჭომ გააუქმა ცხინვალისა და ყორნისის რაიონები, ხოლო მათი ტერიტორიები შესაბამისად შეუერთა მიმდებარე გორისა და ქარელის რაიონებს. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-9 მუხლიდან ამოღებულია სიტყვები „ყორნისი“ და „ცხინვალი“. მიღებულია აგრეთვე დადგენილება, რომ ჯავის რაიონს გამოეყოს და მის მეზობელ საჩხერის რაიონს გადაეცეს — 20,4 ათასი ჰექტარი მიწა და სინაგურის სასოფლო საბჭო, ხოლო ონის რაიონს — 38,6 ათასი ჰექტარი მიწა და კიროვისა და ჩასავლის სასოფლო საბჭოები.

უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის მდივნის გიორგი გულბანის წარდგინებით დეპუტატებმა განიხილეს და მიიღეს კანონი „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. ცვლილება შეტანილია ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონის №-9 მუხლში, რომელიც შეეხება თანამდებობრივ მდგომარეობასთან უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შეუთავსებლობას.

საყოველთაო მოწონება დაიმსახურა დადგენილების პროექტმა, რომელიც წარმოადგინა უზენაესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ ტარიელ გელანტიამ ფასების რეფორმასთან დაკავშირებით არასრულწლოვანბავშვებიანი ოჯახებისათვის კომპენსაციის მიცემის შესახებ.

ამავე კომისიის წინადადებით განისაზღვრა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობრივი სარგოს ოდენობაც — 2000 მანეთი. ეს არის მინიმუმი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ უზენაესი საბჭოს ზოგიერთ წევრს საჭიროდ მიაჩნდა მისი მომატება, დაჟინებით მოითხოვა თვითონ ახლანდელმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, რომელმაც ეს ახსნა ერთი მხრივ, ფინანსური სიძნელეებით, ახლა რომ განიცდის რესპუბლიკა, ხოლო, მეორე მხრივ, იმით, რომ არ შეიქმნას სხვა თანამდებობის პირთა სარგოების შესაბამისი ზრდის პრეცედენტი.

შემდეგ სიტყვა აიღო საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა გურამ აბსახძემ. მან კანონმდებელთა განსახილველად წარმოადგინა პროექტი კანონისა სოფლის და სატყეო მეურნეობის სამინისტროს და რესპუბლიკის კვებისა და გადამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმო-ორგანიზაციათა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ. ამ პროექტის გამო აზრთა გაზიარების შემდეგ, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები პაატა კოღუაშვილი, ბეჟან გონაშვილი, ვალერიან შარიქაძე, რომან გოცირიძე, ავთანდილ რცხილაძე, ტარიელ გელანტია, უზენაესმა საბჭომ მიიღო შესაბამისი კანონი.

კრებულის მიერ ინსპირირებული უკანასკნელი ამბები, რომლებსაც მოჰყვა დაძაბულობის მკვეთრი გაშწვავება სამაჩაბლოში და ჩრდილოეთ კავკასიაში, დეპუტატებს გააცნო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, მან ამ რეგიონებში შექმნილი სიტუაციის გამო უზენაეს საბჭოს შესთავაზა მიმართონ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს პერეს დე კუელიარს, მსოფლიოს ხალხებსა და პარლამენტებს. ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა დილარ ხაბულიანმა, რომელმაც დამსწრეთ მოახსენა სამაჩაბლოში შექმნილი ოპერატიული ვითარება, კერძოდ, ის მართლსაწინააღმდეგო აქტი, რომელსაც სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიმართა ამ რეგიონში ეგრეთ წოდებული შინაგან საქმეთა საოლქო სასამართლოს აღდგენისათვის, აგრეთვე დეპუტატმა ლევან ალექსიძემ, რომელმაც ილაპარაკა ამ დღეებში გამართული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს სხდომის შესახებ, რომელშიც იგი მონაწილეობდა როგორც მეთვალყურე და რომელზეც განიხილავდნენ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების ღონისძიებათა საკითხს.

ეროვნული
ბიბლიოთეკ

წარმოდგენილ ინფორმაციათა გამო გაიმართა საფუძვლიანი აზრთა გაზ
არება, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები ნოდარ ნათაძე, აპოლ
სილაგაძე, თედო პაატაშვილი, ბიმურზა აფრასიძე, ბაკურ გულუა, დავით კ
პრეიშვილი, ნუგზარ ძგალობლიშვილი, ანზორ საკანდელიძე, ვლადიმერ მი
ცხულავა, როინ ბეტრეველი და სხვები. უზენაესმა საბჭომ უყოყმანოდ და
ჭირა მხარი ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქციის გაგრ
ლებას, საგაფიცვო მოძრაობის გააქტიურებას, განსაკუთრებით საკავშირო
ჩვეულებრივების საწარმოებში, გაილაშქრა სუვერენული საქართველოს საქ
ებში ცენტრის ჩარევის წინააღმდეგ, მოითხოვა საბჭოთა ჯარების გაყვანა სა
ჩაბლოდან და საქართველოს მთელი ტერიტორიიდან. სხვათა შორის, როგორ
საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრმა გივი აბდუშელიშვილ
აღნიშნა, გაფიცვებს არ უნდა მოჰყვეს საწარმოთა სრული გაჩერება, ისინი უნ
მუშაობდეს, მაგრამ განსაკუთრებული რეჟიმით და, რაც მთავარია, პროდუ
ცია არ უნდა გაიგზავნოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

უზენაესმა საბჭომ მიიღო მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზ
ციის გენერალური მდივნის პერეს დე კუელიარისადმი, მსოფლიოს ხალხებ
და პარლამენტებისადმი. გადაწყეტილია შესაბამისი ნოტა გაეგზანოს სსრ კ
შირის უმაღლეს საბჭოს. მხარი დაუჭირეს წინადადებას, რომ საქართველ
საგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებს სთხოვონ დატოვონ პროტესტ
ნიშნად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო და იქ მეთვალყურეებად დარჩნენ მ
ლოდ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრები.

სხდომაზე განიხილეს და მიიღეს კანონი იმის შესახებ, რომ დაექვემდ
როს საქართველოს რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტ
ციის სამინისტროებს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ო
განოები და ამასთან დაკავშირებით ცვლილებანი შეიტანონ ზოგიერთ საკან
მდებლო აქტში. მიღებულია დადგენილებანი საქართველოს რესპუბლიკის უ
ნაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ პა
გველესიანის, ხოლო მოადგილედ ტარიელ ზამბახიძის არჩევის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესა
კანონის ძესაბამისად ვადამდე შეწყდა უზენაესი საბჭოს წევრების მან
ძოძუაშვილისა და თამაზ გუგუშვილის სადეპუტატო უფლებამოსილებ
რადგან ისინი მინისტრებად დაინიშნენ.

დღის წესრიგში შეტანილი „სხვადასხვა“ ფარგლებში უზენაეს საბ
თავიანთი ძეხიშვნები და მოსაზრებანი, რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პო
ტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა საკითხის გ
კონკრეტული წინადადებანი გაუზიარეს ქალაქ თბილისის პრეფექტმა ირა
ახდრიაძემ, დეპუტატებმა რომან გოცირიძემ, გიორგი ქავთარაძემ, ბიმურ
აფრასიძემ, ნოდარ ნათაძემ, გრიგოლ მარგიანმა, თამაზ დიასამიძემ. ზოგიერ
აღძრულ საკითხზე აქვე გასცეს პასუხი თავიანთ გამოსვლებში უზენაესი საბ
წევრმა ნათელა ქუთელიამ და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენ
ზვიად გამსახურდიამ.